F 221/1931

ეროვნული ბიბლიოთეკა





წ ი თ ე ლ ი  ა რ მ ი ა  ბ ა ნ ა კ ა დ.

ზევით—მტკვარზე გადასვლა, შუაში—ამხ. ა. ენუქიძე და ბუდიონნი ესალმებიან ცხენოსან ნაწილების შეჯიბრების მონაწილეებს მოსკოვში, ქვევით—საზაფხულო ბანაკი და მინდვრად გასვლა ძაღლებით.

ქ. ჩარკვიანი

# წითელი დროშოვანი „საბრძოლო გამოცდაზე"

ღრმა უღელტეხილებით გაწყვეტილი ქედები და მათ ნახევარ რკალში მოყოლილი რკინის გზით გადასერილი ველი, რომელზედაც რამდენიმე დიდი და პატარა მდინარე მოიზლაზნება და მოშხუის, ჩვენს. სამანევრო თეატრს წარმოადგენს იგი ნახევრად კულტურულია: ველზე რკინის გზაა, გზატკეცილი, საურმე გზები, მთებში კი—ბილიკებიაც იკარგებიან; ველზე—სოფლები, ქალაქები, ყანები და ბაღები, მთები კი ბუჩქნარებისა და შერეული ტყეების მაზარებში არიან გახვეულნი.

აქ გამოცდაზე მოვიდა ჩვენი ფედერაციის ინტერნაციონალი გუშაგი—კავკასიის წითელდროშოვანი არმია. მოვიდნენ რუსი, აზერბეიჯანელი, ქართველი, სომეხი, ოსი მუშები და გლეხები—კლასობრივი შეგნებით, სამხედრო ცოდნითა და ტეხნიკით შეიარაღებულნი.

მანევრებზე ორი პირობითი ბანაკია: „ლურჯი" და „წითელი". „მოპირდაპირები" ერთმანეთს ზვერავენ და მთავარი ძალებით ერთმანეთისკენ მიიწევენ. პირველი შეხვედრა ჰაერში მოხდა. ამის შემდეგ „ომი" მთელი ექვსი დღეს გრძელდებოდა. სოფლები, ქალაქები, მბრძანებელი მწვერვალები და უღელტეხილები ხელიდან ხელში გადადიოდენ...

* * *

„ბრძოლის" პირველი დღეა. „წითლები" უტევენ მათ ტერიტორიაზე შემოჭრილ „ლურჯებს", მაგრამ უშედეგოდ. „ლურჯები" მოხერხებულად იბრძვიან და უკან ერთი ნაბიჯითაც არ იხევენ. არავინ იცის საით გადაიხრება გამარჯვების სასწორი.

„წითელი" ასეულის უფროსი იძლევა ბრძანებას:

„ტყვიამფრქვევ ოცეულმა დაიჭიროს მაღლობი, რომელიც ჩვენ პოზიციიდან მარჯვენა მხრით იმყოფება".

აშკარაა, ამ მაღლობს „მოწინააღმდეგეც" დიდი სიმპატიით უყურებს. ალბად იქაც გაიცა შესაფერი ბრძანება.

ვინც უფრო მარდი აღმოჩნდება, ვინც მოასწრებს მაღლობის დაკავებას—დღევანდელ ბრძოლასაც ის მოიგებს.

„წითელი" ასეულის მებრძოლებმა სტავჩუკმა, ბელონოგიმ, ლიუტიმ და ბარელიუკმა ელვის სისწრაფით აჰკიდეს ცხე-

ნებს ტყვიამფრქვევები, ფეხმარდათ აირბინეს ვიწრო ბილიკი და მოასწრეს „მტერს“ მაღლობის დაკავება.

აკაკანდენ „წითლების“ ტყვიამფრქვევები და „ლურჯებმაც“ იკადრეს უკანდახევა..

* * *

ორი დღის შემდეგ გადავედი „ლურჯების“ ბანაკში. „ლურჯებმა“ ერთი მეორეზე მიატოვეს დაბა №, რამდენიმე სოფელი და მაღლობზე გამაგრდენ. № ლეგიონი სოფ. ქ—ს იცავს. ძველი ციხის ნანგრევებთან გორაკზე სდგას ერთი სამთო ზარბაზანი, მეორე გორაკის კალთაზეა შენიღბული. ეს ლეგიონის ბატარეიაა... „წითლების“ შემოტევა ძლიერდება, მაგრამ სოფელში გაბნეული და კარგად შეხამებული „ლურჯების“ ასეულის ცეცხლი მათ წინსვლის საშუალებას არ აძლევს. ასეულის მეთაური ამხ. წურწუმია ერთი ოცეულიდან მეორეში დაქრის და იძლევა გარკვეულ ბრძანებას: იგი ამზადებს ნაწილს მოსალოდნელი იერეშის უკუსაგდებად.

ნაშუადღევს „მოწინააღმდეგის“ ცეცხლი გაძლიერდა. ამავე დროს გორაკიდან ერთნახევარი კილომეტრის მანძილზე გამოჩნდა „წითლების“ ჯავშნოსანი მატარებელი. იგი მიწის ფერია. მოიპარება სოფ. ქ—საკენ და მოაქვს „განადგურება“ „ლურჯების“ სანგრებში. მაგრამ არ ძინავს „ლურჯ“ „მეთვალთვალეებს“. ბუჩქებში შემალულმა წითელარმიელმა მალე შენიშნა საშიში „მტრის“ მოახლოვება. ბატარეიამ სწრაფად ამოიღო ნიშანში ჯავშანი და უცდის ბრძანებას: „ცეცხლი“.

—ჯავშანომ თითქოს იგრძნო შემამჩნიესო და ასტეხა სროლა.

—ჯავშანოს ცეცხლი,—გასცა ბრძანება ბატარეიის უფროსმა. იგრიალეს ზარბაზნებმა და „აფეთქებული“ ჯავშანი ზლაზვნით წავიდა უკან. მან მხოლოთ ორი გასროლა მოასწრო და არავითარი ზიანი „ლურჯებისათვის“ არ მიუყენებია.

მარცხენა ფრთაზე საშიში მდგომარეობა იქმნება. თანდათან ხშირდება თოფებისა და ტყვიამფრქვევების სროლა. უეცრათ გაისმა „ვაშა“. „წითლები“ იერიშზე გადმოვიდნენ. „ლურჯებმა“ მიატოვეს მოწინავე პოზიცია და გასწიეს გორაკისაკენ, რომ უფრო მოხერხებულათ ეწარმოებიათ ცეცხლი თავხედ „მტრის“ წინააღმდეგ.

ყველა ფიქრობდა—იერიშებზე დიდი ძალა გადმოვიდაო; ანბანური ჭეშმარიტებაა: რომ აიღო ისეთი გორაკი, როგორიც ეხლა „ლურჯ“ ასეულს უჭირავს, 3—4 ჯერ მეტი ძალა და ცეცხლის მფრქვეველი საშუალებები უნდა გქონდეს იქ გამაგრებულ „მტერზე“. „წითლების“ მოიერიშე ნაწილი-კი მხოლოდ ერთი ოცეული აღმოჩნდა. აშკარაა იერიში, უბრალო „ავანტიურა“ იყო. წურწუმიას ასეულმა რამდენიმე წუთში მოახერხა მისი ლიკვიდაცია.

ასეული შეუდგა დაკარგული პოზიციის აღდგენას. დვალის ოცეულს ებრძანა გადაეჭრა გზა „მტრის“ ნაწილისათვის, რომელიც ეტყობოდა საიერიშოთ მოდიოდა, მაგრამ „ლურჯების“ კონტრშეტევით დამფრთხალი, ზურგისაკენ მობრუნდა. დვალმა წარმატებით გადაჭრა დაკისრებული ამოცანა. ასეულმა კვლავ დაიბრუნა თავისი პოზიცია და „მტერსაც“ ისე მაგრად დაარტყა, რომ დაუკარგა იერიშის ხალისი.

ღამდება... „ლურჯები“ დაბლობისაკენ აჯგუფებენ თავის ძალებს. № ასეული კვლავ სდგას გორაკზე ლეგიონის ბატარეიასთან ერთად და მედგრად იცავს „ლურჯების“ მარცხენა ფრთას...

* * *

მანევრების დაწყებიდან მეშვიდე დილაა. ხეობა, რომელშიაც ცის ნაჭერი ლურჯი ფარდასავითაა დაკიდებული, ბოლში გაეხვია. ბოლი იმატებს, იწევს ზევით, თანდათან ფარავს მთის იმ კალთებს, სადაც გუშინ „ლურჯების“ ტყვიამფრქვევები კაკანებდნენ. „წითლები“ მიხვდნენ: ეს არის გაზების საფარი, რომელიც „ლურჯებმა“ „მტრის“ თვალის ასახვევად აუშვეს. ბოლის სვეტების უკან ალბად მოულოდნელი სიურპრიზი მზადდება.

მე ვდგევარ ერთ-ერთ უსახელო გორაკზე სოფ ბ—ში. აქ არის მოთავსებული „წითლების“ № არტლეგიონის საგაუბიცო ბატარეია. გაუბიცები მრისხანედ გასცქერიან აჭრელებულ ველს, რომელიც რკინის-გზის რამდენიმე ხაზითაა გადასერილი.

ბატარეია კალოზე სდგას. იქვე ახლო გარჩეული სიმინდის დიდი ხვავია, რომლის გარშემო ქალები და ბავშები ფუსფუსებენ.

—ხომ არ შეუწუხებიხართ წითელ არმიელებს?— ვეკითხებით მოხუც ქალს, რომელსაც ეტყობა ოჯახის უფროსია.

— რას ამბობთ თქვენი ჭირიმე, შემაწუხეს კი არა ჩემი დამსახლებლები შეიქნენ. ამდენი სიმინდი მომიჭრეს, ამიკონეს და გამირჩიეს. ნეტაი, ან სად ისწავლეს სიმინდის ასე კარგად რჩევა, ესენი ხომ რუსები არიანო—იკვირვებდა მოხუცი.

ამგვარად იხსენიებდნენ წითელ არმიელებს ყველა სოფლებში. მათი მოსვლით განსაკუთრებით კმაყოფილი იყვნენ კოლმეურნეები. სოფ. ს.—ს კოლმეურნეობას წითელარმიელებმა მთელი მოსავალი აუკრიფეს და დაუბინავეს...

დაუბრუნდეთ ისევ „ბრძოლის“ ველს. ბოლის კედელი პირველად ჯავშნიან მატარებელს გაურღვევია. ჩვენმა მეთვალთვალემ იგი მხოლოდ მაშინ დაინახა, როცა ჯავშანოს კოშკში ჩასაფრებულმა ქვემეხმა ცეცხლის ენა გამოყო და გრგვინვით ჰაერი შეარხია.

ჩვენებმა გაუბიციდან სამი ყუმბარა გაუშვეს ჯავშანოს მისამართით. პირობით ეს 60 გასროლას უდრის. შუამავალმა ნიშანი მოგვცა, რომ ჯავშნიანი მატარებელი „აფეთქებულია“...

დავრწმუნდით, რომ „ლურჯები“ შეტევაზე გადასვლას აპირებენ.

მალე ხეობის კარიდან გამოიჭრენ სწრაფად მოძრავი შავი წერტილები. თვითეული მათგანი თანდათანობით გვიახლოვდებოდა და ადამიანის ხორცს ისხამდა. ეს იყო „ლურჯების“ მოტორაზმი, რომელმაც განსაკუთრებით ისახელა თავი წლევანდელ მანევრებზე. მოტორაზმს რამდენიმე ცხენოსანი ესკადრონი გამოყვა.

შემდეგ კი ველზე გამოეფინა ფეხოსანი ლაშქარი. მოდიან შეუჩერებლად და ყოველგვარ წინააღმდეგობას „ანადგურებენ“. გამოდის მეორე ჯავშნიანი მატარებელი. დროგამოშვებით ფეთქდება ნაღმები, რომლებიც „წითლებმა“ ჩაფლეს რკინის გზის ლიანდაგის ქვეშ. ჩამოდიან მებრძოლები და ლიანდაგს ასწორებენ

„წითლები“ მთებიდან ისვრიან, მაგრამ ვერ აფერხებენ „ლურჯების“ ძლევამოსილ წინსვლას.

გაისმა ხანგრძლივი ზუზუნი და მთების მწვერვალებიდან გადმოეშვენ ფოლადის არწივები. „წითლების“ ავიაციის გამოჩენისათანავე შეტევაზე გადმოსული „ლურჯი“ ლაშქარი თითქოს მიწის პირიდან გაქრა. იგი შეეხამა ბუჩქებს, ჩაწვა თხრილებში.

მთებიდან მალე მოფრინდენ „ლურჯი“ თვითმფრინავების გუნდებიც. ჰაერიდან ცხარე „ბრძოლა“ შეიქნა. თვითმფრინავები სულ დაბალზე დაეშვენ და ზლაპრული ფასკუნჯებივით უტევდენ ერთიმეორეს.

დაეშვა მთებში მიმალული „წითელი“ კავალერია, გახშირდა ზარბაზნების სროლაც. „წითლებს“ ემჩნევა თავდაცვიდან უკვე თავდასხმაზე გადასვლის ტენდენცია. ვინ გაიმარჯვებს?—ეს ფრაზა კვლავ დიდი კითხვის ნიშანქვეშაა.

ამ დროს გაისმის სიგნალი.

საველე ტელეფონები ურეკენ ყველას, ყველას, ყველას:

—„ბრძოლა“ შესწყვიტეთ, მანევრები დამთავრდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალ. თბილისელი

# გახსოვდეს საჰაერო თავდაცვა!

კავკასიის წითელდროშოვან არმიის მანევრები უახლოვდებოდა დასასრულს. სადღაც მთებში იკვრებოდა „ლურჯების“ და „წითლების“ ოპერაციების მარყუჟი, სადღაც, როგორც საგულდაგულოთ დამუშავებულ საჭადრაკო ტურნირში, თითეული მხარე ადგენდა მოხერხებულ კომბინაციებს „მტრის“ დასამარცხებლად, მისთვის „ზიანის“ მისაყენებლად ყველაზე მისავწდომ ადგილას. „ლურჯების“ საჰაერო თავდასხმა ტფილისზე უნდა გამხდარიყო სამხედრო ოპერაციების საბოლოო აკორდი.

მომავალი საჰაერო „საფრთხის“ შესახებ იცოდნენ, მისთვის ემზადებოდნენ. პლაკატებით და ლოზუნგებით იყო აჭრელებული ქუჩები, ქარხნები, კლუბები. მოსახლეობა ეცნობოდა იმას, თუ როგორ დაეჭირა თავი საჰაერო მტრის თავდასხმის შემთხვევაში.



მტრების ჰაეროპლანები ქალაქზე.

მხოლოდ დარაზმულობას, მხოლოდ განკარგულებათა და სათანადო წესების უყოყმანოდ შესრულებას შეუძლია შეასუსტოს მტრის თავდასხმის მოსალოდნელი შედეგები, გაუძნელოს მას გარკვევა ქალაქზე გაფრენის დროს. პანიკას არ უნდა ექნეს ადგილი.

ეს კარგად ესმოდა მოსახლეობის ყველაზე შეგნებულ ნაწილს, ეს ესმოდათ ფაბრიკა-ქარხნების მუშებს, რომლებმაც მედგრად მოჰკიდეს ხელი სამხედრო ცოდნის შეძენას და მასიურად ეწერებოდნენ თავდაცვა-ავიაქიმის წრეებში.

დღეც დადგა.

გაზეთის ფურცლები აფრთხილებდნენ მოსახლეობას, რომ საჰაერო „მტერს“ უნდა მოელოდნენ დღეს.

ქალაქმა თითქო იცვალა ელფერი. ქუჩებში გამოჩნდენ ავიაქიმ-რაზმელები. აქა-იქ მოსჩანან მუშები ჩანთებით, რომლებშიც მოთავსებულია გაზების საწინააღმდეგო ნიღბები. ავიაქიმის ყველა წრეები, ყველა სახანძრო რაზმები მზად არიან „ბრძოლისთვის“.

ქუჩაში ხალხი თითქო უფრო ჩქარი ნაბიჯით დადის და თან ხანგამოშვებით იყურება ზევით, უთვალთვალებს „მტერს“. ფაბრიკა-ქარხნებში მოეწყო საგუშაგოები. მორიგეები ერთი წუთითაც არ შორდებიან ტელეფონს — გამაფრთხილებელ ზარის წკრიალის მოლოდინში.

ნაშუადღევს მოლოდინი ძლიერდება—როდის?

„კომპეტენტური“ ობივატელები სასტიკი საიდუმლოების ქვეშ იმყოფებიან „მტრის“ აეროპლანების თავდასხმის დროს.

— აბა, თქვენ საიდან იცით, ეს ხომ სამხედრო საიდუმლოებაა, — ეკითხებოდა ვინმე ამგვარ „ყოვლის მცოდნეს“ და პასუხად იღებს დამცინავ გამოხედვას:

—გინდა დაიჯერეთ, გინდა არა, მე ვლაპარაკობ, რომ სრულ სამ საათზე...

დაელექტრონებულ მდგომარეობაში იწურებოდა დღე. საღამო შე'ცვალა ღამემ, ისევ გათენდა.

„მტერი“ კი არსად სჩანდა.

* * *

ცა დაუფარავს ღრუბლის ქულებს. მზე ზოგჯერ გამოიჭვრეტს მორცხვად, რომ ი'ვევ დაიმალოს.

ობივატელი ილვიძებს და ბუზღუნობს... არავითარი თავდასხმა, არავითარი ჰაეროპლანები. ფოკუსების ხალხია ეს ბოლშევიკები.

დამშვიდებული ობივატელი, რომელსაც დაავიწყდა ჰაეროპლანები, გაზები, თავდასხმა და ომები, უკვე ჩაჰკირკიტებს გაზეთის მეოთხე გვერდს, რომ გაიგოს, თუ რომელი ნაცნობი მოკვდა გუშინ

ცა ილუშება·..

* * *

„მტრის“ ჰაეროპლანების გუნდი ჩნდება დღის ორ სათზე.

რაღაც მოულოდნელათ გამოყვინთეს მათ ღრუბლებიდან და მოტორების მრისხანე გუგუნით გაავსეს ჰაერი, ლამაზი წრე გაუკეთეს ქალაქს. ისინი გამოჩდენ მაშინ, როცა ყველაზე ნაკლებ მოელოდენ მათ, როცა მოლოდინის სიმწვავე ქარწყლდებოდა.

ერთი წამით თითქო შედრკა ყველა, მაგრამ მხოლოდ ერთი წამით, თითქოს აეროპლანების მოტორების გუგუნს ეჯიბრებიანო, ახმაურდენ ფაბრიკა-ქარხნები და ორთქმავლების საყვირები, გაისმა მილიციონერების სტვენა....

მაგრად ლაგამამოდებულ ცხენებივით შეჩერდენ ტრამვაის ვაგონები, ავტომობილები, შეწყდა მიმოსვლა, ქუჩებში დარჩენილი ხალხი გარბის ეზოში, სახლების შესავალში, ან მჭიდროთ ეკვრის სახლების კედლებს.

გრიალით მიჰქრიან სახანძრო ავტომობილები, მეხანძრეებს ლითონის მუზარადის ქვეშ გაზის საწინაალმდეგო ნიღაბი გაუკეთებიათ. მიმავალი მანქანებიდან ხტებიან რაზმელები ქაფიანი ცეცხლის საქრობებით და იკავებენ ქალაქის ყველაზე საფრთხილო ადგილებს.

„მტრის“ აეროპლანები იფანტებიან ჰაერში და იწყებენ „სამხედრო ოპერაციებს“—„გაზიანი“ ბომბების გადმოყრას.

ხან იქ, ხან აქ გამოჩნდება კვამლის ფარდა,



თავდაცვა-ავიაქიმის შენიღაბებული რაზმელები.

„ცეცხლის ენები ლოკავენ სახლებს და მოედნებს.

სცენაზე გამოდიან ავიაქიმელები. მთავარი და ძირითადი მუშაობა ახლა მათ ეკისრებად· მათ უნდა უზრუნველჰყონ ქალაქის მთელი ტერიტორია „მხჩოლავი გაზების“ შემდგომი გავრცელებისაგან, მათ უნდა გასწმინდონ უკვე „მოწამლული“ ადგილები.

ქუჩებსა და შესახვევებში გაბმულია თოკის ზღუდეები სარებზე მიკრული პლაკატით:

—ეს ადგილი „მოწამლულია.

ცოცხლად მკაფიოდ მუშაობენ ავიაქიმელები, მათ იციან, რომ ძვირფასია თითეული წუთი.

„მტრის„ უკანასკნელმა აეროპლანმა გადაიფრინა ქალაქზე, დაბლა, ისე დაბლა, რომ თითქო გაეკრა სახლების სახურავს და მიიმალა სამხრეთით.

„თავდასხმა“ დამთავრდა.

სტვენა შეწყდა. გაოფლებული ავიაქიმ'რაზმელები იხდიან ნიღაბს და მთელი ფილტვებით ისუნთქავენ წმინდა ჰაერს.

ცხოვრება თანდათანობით დგება კალაპოტში, მაგრამ კიდევ დიდხანს ჯგუფდება ხალხი ქუჩებში, დიდხანს ათვალიერებენ „გაზებისგან“ გაწმენდილ ადგილებს და მსჯელობენ «თავდასხმაზე».

* * *

საღამო'ს ქალაქი მორთულია დროშებით. ქუჩებში გავლა არ შეიძლება, ახალგაზრდობით არის სავსე ქალაქი.

ხვალ არის ახალგაზრდობის XVII საერთაშორისო დღე.

წითელ არმიელებში იძირება მბეჭდავთა კლუბის სცენა. ტრიბუნაზე მომხსენებელი ლაპარაკობს უცხოელ კომკავშირელების ბრძოლის შესახებ, ლაპარაკობს საერთაშორისო კაპიტალის ტერორზე და მის განუწყვეტელ საომარ სამზადისზე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

—„ბრძოლა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, იგი მხოლოდ ახლა იწყება. ახალგაზრდობავ, იყავ ფხიზლად!“

და თითქოს იმის საილიუსტრაციოდ, რომ ბრძოლა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, მოულოდნელად ქრება სინათლე და უცებ ჩამოვარდნილ სიჩუმეში კვლავ გაისმის ჰაეროპლანების მოტორების მწყობრი გუგუნი.

იწყება საჰაერო „თავდასხმის“ მეორე ნაწილი.

ეს არის ყველაზე საპასუხისმგებლო ნაწილი. მან უნდა გვიჩვენოს, თუ როგორ ერკვევიან ჩვენი საჰაერო ძალები ღამით. ყოველი მხრიდგან ისმის სტვენა და საყვირების ხმა. ზევით, შორს, თითქოს ვარსკვლავთ შორის, მოსჩანს მოძრავი სინათლის წერტილები. ეს არის „მტრის» ჰაეროპლანები, ცისფერი, მწვანე ცეცხლი... ეს ზევიდან „ჰყრიან ბომბებს“

გავიდა 15 წუთი. ჰაეროპლანები გაჰქრა. კვლავ ილვიძებს ქალაქი, რომ ორი სათის შემდეგ ისევ ჩაიძიროს წყვდიადში „მტრის“ ახალი „თავდასხმის“ დროს.

და თუმცა იცი, რომ ეს არის მხოლოდ ინსცენირობა, რომ „მტრის“ აეროპლანებ'აფრთებზ აქვთ ჩვენი საბჭოთა ხუთქიმიანი ვარსკლავი, —მაგრამ მაინც ჟრუანტელი მივლის ტანში...

მანევრები დამთავრდა...

თბილისის პროლეტარიატი ემზადება „ომის“ მონაწილეთა საზეიმო შესახვედრათ.

ეს იყო ომის ინცენირობა, მაგრამ გვახსოვდეს მომავალი ნამდვილი კლასობრივი ომები, როცა არ იქნება ფრონტი და ზურგი, როცა ყველა პატიოსნი პროლეტარი უნდა გახდეს რევოლიუციის ჯარისკაცად და ამიტომ

**....ვიყოთ ფხიზლად!**

# კავკასიის წითელ დროშოვან არმიის ალლუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხუთშაბათს, 10 სექტემბერს ქალაქ გარეთ გაიმართა კავკასის წ.-დროშოვან არმიის იმ ნაწილები ალლუმი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს მანევრებში.

ალლუმის ადგილას მივიდა თბილისის მშრომელთა და კოლმეურნეთა მრავალათასიანი დემონსტრაცია, რომელიც მხურვალედ მიესალმა საბჭოთა კავშირის წითელ საზღვრების მედგარ დამცველებს.

ალლუმი გაგრძელდა 4 საათს.

**სურათზე:** ალლუმის ცალკე მომენტები, მარცხნიდან მარჯვენივ: 1) სამთო დივიზიონი. 2) № ქართულ დივიზიის ფეხოსანი ნაწილი 3) ტრიბუნა. 4) ა.-კ. ცაკის დროშის გადაცემა ამხ. სტალინის სახელობის დივიზიისათვის. 5) კასპიის ფლოტის მეზღვაურები ალლუმზე 6) სომხური ფეხოსანი ნაწილის მსვლელობა. 7) თავდაცვა-ავიაქიმის რაზმი. 8) აზერბეიჯანის დივიზიის ფეხოსანი ნაწილი. 9) ავიაქიმის რაზმი. 10) ფაბრიკა-ქარხნების მუშათა წარმომადგენლების და წითელ არმიელების შეხვედრა.



# ახალგაზრდობის მე-XVII საერთაშორისო დღე

1915 წელი. სისხლის ღვრა, დაწყებული საერთაშორისო იმპერიალიზმის მიერ, ასიათასობით იწირავდა ადამიანთა სიცოცხლეს.

17 წლის წინ კაპიტალისტურ ქვეყნების მუშა-ახალგაზრდობამ მთელი თავისი ახალგაზრდულის მრისხანებით შეუერთა თავისი ხმა პროლეტარების პროტესტს სისხლის სპეკულიანტების წინააღმდეგ.

ასე იშვა ახალგაზრდობის პირველი საერთაშორისო დღე.

ამის შემდეგ არა ერთხელ განუცდია მსოფლიოს უსერიოზულესი ცვლილებები: მიგორავდა დაბლა გვირგვინოსანთა ტახტები და ზოგჯერ ქვეშ იყოლებდა თავიანთ პატრონებს, იმპერიალისტური თერძები თავიანთ ყაიდაზე სჭრიდნენ და ჰკერავდნენ დედამიწის რუქას.

ახალგაზრდობამაც დიდი ხანია გაიარა რევოლიუციონური სწავლების ანბანი, რევოლიუციონური გრიგალებიდან გამოვიდა მტკიცე შემცვლელებათ, მედგარ მებრძოლებათ.

„აჩრდილი დადის ევროპაში—კომუნიზმის აჩრდილი“. ახლა უკვე სავსებით რეალურია ეს „აჩრდილი“. ათეულ მილიონებიანი მასებია დარაზმული კომინტერნის—მსოფლიო სოციალისტური რევოლიუციის შტაბის გარშემო. ბურჟუა უკვე გრძნობს მსოფლიო რევოლიუციონური გრიგალის მოახლოებას და ამაოდ ცდილობს თავიდან აიცილოს იგი რევოლიუციისათვის მებრძოლთა დახვრეტით, ასეულ და ათასეულ პროლეტარულ ბელადების ჩამწყვდევით თავის ბნელ ჯურღმულებში. პროლეტარული ახალგაზრდობაც თავის ასეულ და ათასეულ საუკეთესო მებრძოლთ სწირავს გმირულ ბრძოლას მსოფლიო რევოლიუციისათვის.

იზრდება და მტკიცდება მილიონ რევოლიუციონურ ახალგაზრდობის ინტერნაციონალური კავშირი. ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე წარმოადგენს ამ კავშირის მრისხანე დემონსტრაციას, რომელიც თავზარს სცემს საერთაშორისო ბურჟუაზიას. ამ დღეს მოსკოვში, პარიზში, ბერლინში, ვარშავაში, ვენაში, ლონდონში, ნიუ-იორკოში, მსოფლიოს ყველა სულ პატარა ქალაქებშიც კი, რომლებიც დასახლებულია სხვადასხვა ფერების, სხვადასხვა ენებზე მოლაპარაკე ხალხით, რევოლიუციონური ახალგაზრდობა ავსებს ქუჩებს, ლაპარაკობს ერთი ენით — რევლიუცის ენით, მიდის ერთი დროშით ლენინის დროშით.

ჩვენში ეს სულ სხვანაირად ხდება, ჩაქუჩ-ნამგლიანი დროშების ქვეშ ახალგაზრდობის ცხოვრება, ისე როგორც მთელი საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის ცხოვრება, გამთბარია სიხარულით და მხნეობით. ჩვენი ქვეყნის მშრომელი ახალგაზრდობის მილიონიანი არმია მედგრად იბრძვის ინდუსტრიალიზაციის მწვერვალებისთვის, სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდამქნისათვის და ამ გმირული ბრძოლით მომავალი გამარჯვების იმედით ანთებს თავის უცხოელ ძმებს.

უცხოეთში კი, იქ, სადაც ბატონობენ კაპიტალისტები, ამ დღეს მობილიზაციაქმნილია პოლიცია, ჟანდარმერია, ჯარი, შხუილით სჭრიან ჰაერს რეზინის ჯოხები და ტყვიების ზუზუნში მოედანზე და ქუჩებზე ეცემიან ახალგაზრდა მებრძოლები, მრავალი მათგანი სახლის მაგიერ ციხეებში და ჯურღმულებში მიდის... მაგრამ რევოლიუციონური ახალგაზრდობას ღრმათ სწამს რომ ჩქარა, ჩქარა მთელ მსოფლიოზე აკიაფდება ხუთქიმიანი წითელი ვარსკლავი.

და მის ამ რწმენას ვერ გასტეხს ვერც კაპიტალისტური ციხეები და ვერც კარცერები.

* * *

თბილისი......

სხვადასხვა ფერის ჰალეებით გაჩირაღდნებული საქ. კ. ლ. კ. კ. ცეკას შენობა, წინ პატარა ტრიბუნა. დროშები, წითელი არშიები და მწვანეულობა ამკობს ტრიბუნას.

ტრიბუნა არის ცენტრი. იგი იზიდავს დემონსტრატების ათასეულებიან კოლონებს...

სადღაც მაღლა, ჩაბნელებულ ცაში გასკდა მაშხალა და ფერად ნაპერწკლების წვიმად წამოვიდა დაბლა.

მაშხალა—ნიშანია.

შორს პროჟექტორების სხივებით აბრჭყვიალებულ ქუჩაში გამოჩნდა კომკავშირული არმიის პირველი კოლონა.

მოდიან ქალები, მოდიან ვაჟები.

შეიძლება ისინი არ იყონ იმაზე მეტი, ვიდრე შარშან, შეიძლება ისინი მოდიოდნენ იმავე რიგებში, როგორც შარშან და შარშანწინ, მაგრამ განსხვავება არის.

მრავალმილიონიან კომკავშირის ლოზუნგმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა.

ახალგაზრდობის ახალი რაზმები, ქარხნების და საკოლმეურნეო ველების საუკეთესო დამკვრელები მიდიან კომკავშირში.

ლენრაიონი ხსნის მსვლელობას. ციფრების ტრანსპორანტები, დიაგრამები ლაპარაკობენ კომკავშირის მიღწევებზე. სარემონტო ქარხნის ახალგაზრდობამ ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისათვის კაპიტალური რემონტიდან გამოუშვა სამი ვაგონი, დეპოს ახალგაზრდობამ შეაკეთა ორთქმავალი, ქალაქის ტრამვაის რელსებზე გამოვიდა მისაბმელი ვაგონი № 14—ესეც კომკავშირის საჩუქარია.

თითეული უჯრედი ფაქტებით და ციფრებით ლაპარაკობს თავის წარმატებებზე, თავის ზრდაზე.

აგერ გამოჩნდენ პატარა მოქალაქეები. სულ პატარა ბავშებს მოაქვთ პლაკატი:

— „მრავალმილიონიან კომკავშირს – მრავალმილიონიანი ცვლა“.

ესენი არიან პიონრები. ბავშების თეთრხალათებზე თამაშობს წითელყელსახვევების სიმფონია

და ამ ახალგაზრდულის სულისკვეთებით გატაცებული ძველი გვარდია ახალგაზრდობასთან ერთად ამღვზნები სიმყვებით მიმართავს დემონსტრანტთა დაუსრულებელ კოლონებს. მათ ეხმაურებიან მიმავალი დემონსტრანტები და სადღაც შორს, ქუჩების დერეფნებში იკარგება მქუხარე “ვაშა“ გუგუნი.

თითქმის სამი საათი გაგრძელდა დემონსტრაცია.

ცაში გაიელვა უკანასკნელმა მაშხალამ.

ახალგაზრდების საერთაშორისო დღის ზეიმი გადავიდა ბაღებში, კლუბებში, ქარხნების წითელ კუთხეებში....

დილით კი რადიოს დედამიწის ყოველ კუთხიდან მოაქვს ცნობა ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის ჩატარების შესახებ უცხოეთში.

ყველა ქვეყნის შუცმანებს დიდი სამუშაო ჰქონდათ, ბევრი ახალგაზრდა მებრძოლი არ დაბრუნებულა ამ დღეს სახლში.

მაგრამ არაფერია. ჩვენ გავიმარჯვებთ მთელს მსოფლიოში.

ალ. კოგანი



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# კარლ ლიბკნეხტი

## (დაბადებიდან 60 წლის შესრულების გამო)

აგვისტოში შესრულდა 60 წელი გერმანიის მენშევიკების მიერ მოკლულ უდიდესი რევოლიუციონერის—კარლ ლიბკნეხტის დაბადებიდან.

„რკინის კარლი"—ასე უწოდებდენ მას, რადგან ვერც დევნამ, ვერც კატორღამ, ვერც სიკვდილის მოლოდინმა ყოველ წუთში მოსყიდული მკვლელების მხრივ ვერ შეაშინა, ვერ მოსტეხა იგი.

იგი დაიბადა წარსული საუკუნის მღელვარე ეპოქაში—1871 წ. როცა გერმანიის ჯარები სთელავდნენ საფრანგეთის ველებს, მისი მამა—გამოჩენილი რევოლიუციონერი—ვილჰელმ ლიბკნეხტი ციხეში იჯდა იმისათვის, რომ შოვინიზმით მოწამლულ ატმოსფერაში „გაბედა" და ხმა აღიმაღლა გერმანია-საფრანგეთის პროლეტარიატის ინტერესების ერთობის სასარგებლოდ.



კარლ ლიბკნეხტმა მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში შეუბღალავად ატარა მამის მიერ ნაანდერძევი დროშა სიძულვილისა იმპერიალიზმისა და მილიტირიზმისადმი. პირველი სასჯელის—$1^1/_2$ წლის ციხის—მოხდა მას მოუხდა ანტი-მილიტარისტული წიგნისათვის. როგორც კი გამოვიდა ციხიდან, კ. ლიბკნეხტი გაასკეცებული ენერგიით შეუდგა ბრძოლას მილიტარიზმის წინააღმდეგ. კარლ ლიბკნეხტმა განმანადგურებელი მასალები შეჰკრიბა ბურჟუაზიის პატრიოტიზმის შესახებ. მან დოკუმენტალურად დაამტკიცა, რომ კრუპის ფირმა იარაღს აწვდიდა, როგორც გერმანიას, ისე მის მოწინააღმდეგეებს, დაკვეთების მისაღებად ქთამავდა პოლიტიკურ მოღვაწეებს და სხვ. სკანდალი შეიქმნა არაჩვეულებრივი. მთელმა ბურჟუაზიულმა პრესამ საშინელი განგაში ასტეხა. ლიბკრეხტს უწოდებდნენ „მოღალატეს", „მოსყიდულს" და სხვ. მთელს ამ ისტორიაში საგულისხმოა ის, რომ სოც.-დემ. პარტიის ლიდერებმა არ ინდომეს თავიანთი პარტიული ამხანაგის დაცვა, დუმილით შეხვდნენ ლიბკნეხტის დევნას ბურჟუაზიული პრესის მხრივ. მიუხედავათ ამ განმარტოვებისა, ლიბკნეხტს ერთი წუთითაც არ დაუყრია იარაღი. მაგრამ იფეთქა მსოფლიო ომმა და ზარბაზნების გამაყრუებულ გუგუნში დავიწყებას მიეცა კრუპის" „პატრიოტული" საქმეები.

ომის დაწყებისთანავე გამოირკვა, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიის დუმილი კ. ლიბკნეხტის მიერ გამოქვეყნებული მასალების გარშემო როდი იყო შემთხვევითი. პარტიის ზედაფენები უკვე შეზრდილი იყვნენ ბურჟუაზიულ სახელმწიფოსთან, ისხდენ სხვადასხვა თბილ-თბილ ადგილებზე—ბანკებში, ტრესტებში, სააქციო საზოგადოებაში და სხვ. და მათ სრულიად არ სურდათ ურთიერთობის გაფუჭება თავიანთ მარჩენალთან. სწორედ ამავე მიზეზით 1914 წ. აგვისტოს საბედისწერო დღეებში მათ ხმა მისცეს სამხედრო კრედიტებს, ვილჰელმის და მისი დამქაშების იმპერიალისტურ პოლიტიკას. სხვანაირად მოქცევა შეიდემან-ებერტ-ნოსკეების კომპანიისათვის ნიშნავდა იმ ტოტის მოჭრას, რომელზედაც ისინი ისხდნენ. კ. ლიბკნეხტი არ დაემორჩილა პარტიის დისციპლინას და ხმა მისცა სამხედრო კრედიტების წინააღმდეგ.

**„მე ვემორჩილები უმაღლეს დისციპლინას--საერთაშორიხო ხოლიდარობის დისციპლინას,"**—განუცხადა მან ამ დღიდან თავის ყოფილ ამხანაგებს. მან გაშალა ფართო აგიტაცია ომის წინააღმდეგ. რომ გაეჩუმებიათ და თავიდან მოეცილებიათ ლიბკნეხტი. იგი ჯარში გაიწვიეს.

თოფს არ გავისვრი,--განაცხადა მან და პირნათლად შეასრულა ეს გადაწყვეტილება. ხელისუფლებას და სარდლობას ეშინოდა მასების აღშფოთების, თორემ კარლ ლიბკნეხტს ადვილად მოიცილებდნენ თავიდან სამხედრო-საველე სასამართლოს კომედიის მოწყობით. მაგრამ ვილჰელმის დამქაშებმაც კი ვერ გაბედეს ის, რაც ხუთი წლის შემდეგ გაჰბედა კ. ლიბკნეხტის ყოფ. ამხანაგებისგან შემდგარმა შეიდემან-ებერტის სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ.

როცა ლიბკნეხტს იარაღი ვერ აალებინეს ხელში, იგი გადაგზავნეს ე.წ. „მუშათა ბატალიონში", სადაც მას უხდებოდა კარტოფილის წმენდა, სიბინძურეების გადატანა, საფლავების გათხრა დახოცილებისათვის. მედგრად იტანდა ლიბკნეხტი ამ საშინელებას და ამავე დროს აწარმოებდა დაუღალავ ანტიმილიტარისტულ პროპაგანდას ჯარისკაცებში, რომელთა შორის მან უდიდესი სიყვარული და სიმპატიები დაიმსახურა.

1916 წ. 1-ლ მაისში, ბერლინში, შვებულებაში ყოფნის დროს მან წარმოსთქვა თავისი ცნობილი სიტყვა ომის წინააღმდეგ, რისთვისაც მას 4 წლის ციხე მიუსაჯეს, (როგორც ჯარისკაცს მას რეიხსტაგსი დასტურით წინასწარ წაართვეს დეპუტატის ხელუხლებლობა). სასამართლოში ლიკბნეხტს ისე ეჭირა თავი, როგორც შეჰფერის რევოლიუციონერს. მისი სიტყვა წარმოადგენდა ულმობელ საბრალმდებლო აქტს გაბატონებულ კლასების, მათი ლაქიების—სოციალ-შოვინისტების წინააღმდეგ.

1918 წლის შემოდგომაზე გერმანიაში დაჰბერა რევოლიუციის გრიგალმა. ვილჰელმის მთავრობა მასების დაშოშმინების მიზნით იძულებული შეიქნა ზოგიერთ დათმობებზე წასულიყო. იგი იძულებული გახდა ციხიდან გაენთავისუფლებია ლიბკნეხტიც. ორასი ათასი პროლეტარი ზეიმით შეხვდა მას, როგორც თავის საყვარელ ბელადს. იმ დროს, როცა ებერტ-შეიდემანი იმის ცდაში იყვნენ, რომ როგორმე თავიდან აეცილებიათ რევოლიუცია და გადაერჩინათ ვილჰელმის ტახტი, ლიბკნეხტის პირველი სიტყვები ციხიდან გამოსვლის შემდეგ იყო:

— ძირს იმპერია და მონარქია!

ებერტ-შეიდემანმა ვერ უშველეს ვილჰელმს, ვერ გადაარჩინეს მეფის ტახტი. კ. ლიბკნეხტმა იმპერატორის სასახლიდან გამოაცხადა საბჭოთა გერმანია. შეიდემანი იძულებული შეიქნა დაერღვია პარტიული დისციპლინა და თვითენბურად გამოეცხადებია გერმანიის რესპუბლიკა, მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ლიდერები არც კი ფიქრობდნენ რესპუბლიკაზე. შეიდემან-ებრტის რესპუბლიკამ გაიმარჯვა, ვინაიდან საბჭოთა გერმანიას მხ.რს უჭერდა მუშათა კლასის უიარაღო რეოვლუციონერი ავანგარდი, შეიდემან-ებერტის რესპუბლიკას კი მთელი სამხედრო სარდლობა შემდგარი მონარქისტებისაგან, რომლის განკარგულებაში იყო რეალური სამხედრო ძალა.

მაგრამ გერმანიის კომპარტია, წარმოშობილი სახელოვანი „სპარტაკი"-ს ჯგუფიდან, ლიბკნეხტისა და ლიუქსემბურგის მეთაურობით, გმირულად იბრძოდა საბჭოთა წყობილების დამყარებისათვის გერმანიაში რუსეთის მოძმე მუშათა კლასის მაგალითის მიხედვით.

1919 წლის დასაწყისში მთელი გერმანია იწოდა რევოლიუციონერი გა-



მოსკოვში 16 აგვისტოს გაიხსნა მსოფლიო რევოლიუციონურ პრესის გამოფენა. სურათზე—ფრანგულ კომუნისტურ გაგ „იუმანიტეს"-ს რედაქტორი ამხ. ვ. კუტიურე ამბობს სიტყვას.




კარლ ლიბკნეხტი კუბოში—მარჯვნივ კონტრრევოლიუციონური მოწოდება ლიბკნეხტის მოკვლის შესახებ.



ვილჰელ ლიბკნეხტის ოჯახი.—მარჯვნივ —კარლ ლიბკნეხტი (დგას)



ტირგარტენის ის ადგილი, სადაც მოჰკლეს ლიბკნეხტი



კ. ლიბკნეხტი (მარჯვნივ) ჯარში

მოსვლების ცეცხლში. შეიდემან-ებერტის რესპუბლიკას აღსასრულის დღეები უდგებოდა სოციალ-ფაშისტებმა მოახდინეს მთელი კონტრ-რევოლიუციონერი ძალების მობილიზაცია მუშათა მასების სისხლში ჩასაღრჩობათ და გადასწყვიტეს თავიდან მოეცილებიათ კომპარტიის ბელადები, პირველ რიგში კი კარლ ლიბკნეხტი და როზა ლიუქსემბურგი.

15 იანვარს მათ დააპატიმრეს ორივე რევოლიუციონერი და ხელში ჩაუგდეს მთვრალ შავრაზმელ ოფიცრების ხროვას, რომელშიც ერია მენშევიკების ლიდერის და გერმანიის მინისტრის შეიდემანის სიძე ლეინტენანტი გენკი. იმავე ღამეს ორივე მებრძოლი სიცოცხლეს გამოასალმეს ვითომდა „გაქცევის“ ცდისთვის.

დოკუმენტალურად დამტკიცებულია მენშევიკების ლიდერების მონაწილეობა ამ ავაზაკობაში.

1920 წ. თავად სკლერცის პროცესზე გამოირკვა, რომ **„1918 წ. შეიდემანმა და სკლერცმა 0,000 მარკა გადასდვეს იმისათვის, რომ კარლ ლიბკნეხტი და ქალბატონი როზა ლიუქსემბურგი უვნებელი გაეხადათ“.**

თუ რას ნიშნავდა ფრაზა „უვნებელი გაეხადათ“, რომ ეს ნიშნავდა გერმანიის პროლეტარიატის ამ ორი ბელადის მოკვლის განკარგულებას, ეს ნათელ ჰყო რეიხსტაგის სახელობის პოლკის 14-ე როტის უფროსმა, რომელმაც ჩვენების დროს განაცხადა:

**„... ლიბკნეხტისა და როზა ლიუქსემბურგის მოკვლის ბრძანება არსებობდა. ჯილდოც კი იყო დანიშნული: ვინც ლიბკნეხტსა და ლიუქსემბურგს მოჰკლავდა ან ცოცხლათ მოჰგვრიდა, მიიღებს 100,000 მარკას. ფული ჩვენ მივიღეთ რეიხსტაგის განკარგულებით. ამას გარდა სასტუმრო „ედენ-“მა (ამ სასტუმროში მოთავსებული იყო გვარდიის მეორე პოლკის შტაბი) გადასდო კიდევ 100·000 მარკა“.**

მკვლელობის, ფიზიკური შემსრულებლები, რასაკვირველია, დაუსჯელი დარჩნენ შეიდემან-ებერტის მფარველობის წყალობით.

მაგრამ შორს არ არის ის დრო, როცა ფიზიკურ მკვლელობასაც და მათ იდეურ სულისჩამდგმელებს სასტიკად დასჯის გერმნიის პროლეტარული რევოლიუცია.

სერგო კლდიაშვილი

# აბესალომ ნახუცარა

მაღალმა, ტანხმელმა, გაჩეჩილ წვერიანმა მამაკაცმა საპარიკმახეროს კარები მორიდებით შეაღო. როცა ქუდი მოიხადა, გამოჩდა მელოტი თავი. ტიტველი ადგილი კონწასმულივით ბზიალებდა. სჩანდა, რომ თმა დიდი ხანია დასცვენოდა. თმა მხოლოდ გვერდზე და კისრის ზევით შერჩენოდა. რატომღაც აქ გრძელი იყო და შპილკით მიბნეული. კაცს ხალათი ჩვეულებრივი ეცვა. კოოპერატივიდან გამოტანილი. მაგრამ მაინც არაჩვეულებრივი სჩანდა მამაკაცის ტანზე. მამაკაცი ცალკე იყო, ხალათი კიდევ ცალკე, თითქო გაურბოდენ ერთმანეთს.

როცა რიგმა მოაწია, მაღალი მამაკაცი მძიმედ და ამოოხვრით ადგა. სარკის წინ როგორც მიცვალებულის კუბოსთან ჩამოჯდა.

—გამპარსე, გენაცვალე!—ძლივს გაისმა მისი ხმა.

დალაქი გაკვირვებით მიაჩერდა. ჯერ დაეჭვდა. ბოლოს იცნო.

—შენც, მამაო გიორგი?

მოქალაქემ საწყლად მიაპყრო დალაქს პრული თვალები და მუდარით მიაკნავლა:

—ნუ ყვირი ამ ხალხში!

—რისი გრცხვენია, შე კაცო! პირველი და უკანასკნელი ხარ, თუ? მარტო მე ათზე მეტი მყავს გაკრეჭილი..

კაჭკაჭივით მოუსვენარ დალაქის საპასუხოთ გიორგიმ მხოლოდ ამოიხვნეშა.

—ასე სჯობს ჩემმა მზემ! თმას, შენ ხარ ჩემი ბატონი, მაშინ აქვს ფასი და მნიშვნელობა, როცა სასიძო კაცი ხარ, ან და ფარავს რამეს. მარტო ქინჩში რად გინდა? ასეთი თმა საკადრისიც არაა.. ქინჩის ზევით კოპალი გქონია. კინალამ ისიც წავაჭერი.. აი ამასწინად ერთი ღვდელი გავკრიჭე, იმას კი მართლა სანაქებო ხუჭუჭი ჰქონდა. ალბად იცნობ—აბესალომ ხუცესი.. სადღაც გალმა სწირავდა.

—ვიცნობ!—უკმაყოფილოდ წაიბურტყუნა გიორგიმ.—იმან დიდი ხანია ანაფორა გაიხადა..

—ჰკუაც ქნა. ეხლა თითონაც მადლიერია რომ ასე მოიქცა.

როცა დალაქმა ლოყა საპონით შეუთხუპნა, პარსვას მიუჩვეველი სახე უნებურად დაიღმიჯა.

—არ მოგწონს მამაო?

—ნუ მეძახი მამაოს!—მუდარით მიმართა გიორგიმ, პარსვით ისედაც გამწარებულმა.

დალაქმა გაუსაპნა გამხდარი ლოყები და ხამართებელი ალესა. გიორგი ისე შეჰყურებდა დალაქს, როგორც ჯალათს, რომელსაც მისთვის ყელი უნდა გამოელადრა.

—ჰოდა, იმას მოგახსენებდი—გრამაფონის სიჩქარით ელაპარაკებოდა დალაქი,—რომ ნახუცარა აბესალომი ეხლა თავის ბედის მადლიერია.

ცივი ფოლადის მიკარებამ მიუჩვევ ლოყაზე რომელიღაც ნერვი აათამაშა. დალაქმა შენიშნა მისი ნერვიულობა და მოსულიერება აცალა.

—ერთი წუთი მოითმინე და მერე ჩემსავით წაწკმენდილი კაცი იქნები!—ნუგეშათ ეუბნებოდა დალაქი.—ჰო და, იმას მოგახსენებდი, შემოვიდა ერთ დღეს შენსავით წვერებ გაბანჯგლული კაცი. ფრენჩი ეცვა, მაღალ ყელიანი ფეხსაცმელი და კეპი ეხურა. ისეთი მხარ-ბეჭი ჰქონდა, რომ კარებში შებრუნვით შემოვიდა, პირდაპირ კერდით ვერ შემოეტია. თვალებს გასახედნი მოხვერივით ატრიალებდა. ისეთი ძლიერი ხმით გადმოგვძახა გამარჯვება, რომ ჭერზე დაკიდებული სანათურის ბროლის შუშები შეირხენ. ცხონებული მამა ჩემი ზღაპრების ოსტატური მთამბე იყო. მისგან ბავშობაში დევკაცების შესახებ ბევრი რამ მსმენია. ახალთაობის შემდეგ აღარ მჯეროდა დევკაცების არსებობა, თორემ მეგონებოდა, რომ იმათი ნაშიერი არის.

სამართებელმა ნახევარი სახე აწმინდა. გიორგი მიაჩერდა ლოყას, რომელზედაც ახალგაზრდობიდან ხორცი არ ენახა. ნიკაპის ზევით ხალმა გამოიხედა.

—აქ ხალი დავტოვო?—იკითხა დალაქმა.

—როგორც გინდოდეს!—სულერთი იყო გიორგისთვის.

—არაფერი საჭიროა.. ახლა კინტოებიც აღარ იტოვებენ.. გავიდა მაგის მოდა!—ულმობელი იყო დალაქი.

გიორგის ეჩვენებოდა, თითქო ურცხვი სიხარულით ატრიალებდა დალაქი სამართებელს და ფოლადიც ხარბათ ეწაფებოდა დიდიხნიდან დასვენებულ პირისკანს.

—რომ არ მეცნო ვინ იყო,—განაგრძობდა დალაქი ამბავს,— ყ ჩალი მეგონებოდა.. რა ხორაგს უნდა გაეძლო მისი სტომაქი! თუმცა არ ისე დიდი უჩნდა, რადგან გული უფრო ჰქონდა გამობერილი. გრაფინი წყალი შეუსვენებლივ გადაყლაპა. ორ მოქაჩვაში პაპიროსს ათავებდა. რიგის ცდაში მოწყენით იყო და ულვაშებზე თავს იყოლებდა. ერთხელ ტანისამოსის ჩოთქი გადაისვა ულვაშზე და ასე მეჩვენა, რომ ჩოთქმა კი არ გაასწორა ულვაში,- ულვაშმა დაჰმუჭნა და მოგრიხა ჩოთქის ჯაგარი. ვენაცვალე ასეთ კაცს, ისე ლონივრ:ად აბიჯებდა, რომ პარკეტს ხნიჭავდა.. მიყვარს ასეთი ვაჟკაცური ადამიანი'. ერთი ეს მითხარი,—წარსული საქმეა, ეხლა ღვდელი აღარ ხარ და ღმერთი არ გიწყენს,—აბესალომის ღვდლობას რაიმე მადლი ჰქონდა?

გიორგიმ წაუყრუა.

—აი, მაგალითად,—არ ეშვებოდა დალაქი,—შენისთანა მიკნავებული კაცი რომ სულზე ფიქრობდეს, კიდეც შემშვენის. სხვათ არაფრად ვარგა შენსავით მჭლე ადამიანი. შენ რომ სულის შესახებ მელაპარაკო, რომ არ მინდოდეს—მაინც დაგიჯერებ. უხორცო სხეულში სულის მეტი რაღა დარჩენილა?! შენსავით კაცმა რომ ღმერთი არ იქამოს და მისი იმედი დაჰკარგოს, რისი შემყურე უნდა იქნეს ამ ქვეყნად?! მაგრამ აბესალომ ნახუცარა? არ მჯერა ღვთის მადლი იმაზე გადმოსულიყოს!..

—ჰოი!—შეკრთა გიორგი.

—არა უშავს რა, პატარა მუწუკია. წათლა კიდეც მოუხდებ.. დიდი ხანია არ გინახავს აბესალომი?

—არ მინახავს!—უგემურად სთქვა გიორგიმ.

—რავა დაიღმიჯე„შე კაცო! ხომ არ გწყინს მისი სახელის გაგონება?

—მაინცდამაინც არც მსიამოვნებს', რა მოსაგონარია წუწკი და ეშმაკის ფეხი!

—ეგ კი სიმართლეა!—დაუდასტურა დალაქმა, ეშმაკობაში ბადალი არ ყავს.. წარსულ შაბათს რამოდენიმე ამხანაგმა პურის საჭმელად წასვლა გადავწყვიტეთ. ერთმა სთქვა: ისეთი სარდაფი ვიცი, მეორე მისი მსგავსი ვერსად იპოვოთო. წავედით. მივედით. ჩავედით. რას ვხედავ! დარბაზში ნახუცარა აბესალომი ჩამდგარა. ყურნივით სდგას. ისეთი მარიფათით შეგვხვდა, რომ რაც ნავარაუდევი გვქონდა, სამი იმდენი დავხარჯეთ. როგორც კი სუფრას მოუსხედით, ვგრძნობთ ხასიათიც უკეთესი მოგვეცა, მადაც ისე გაიხარდა —თითო კაცი თითო ლომს გადავყლაპავთ.

—მიართვით რაც მოითხოვენ!—გადასჭექა ფართუკ აფარებულ ბიჭებს ისეთი გემრიელი ხმით რომ ისინი ბზიალასავით დაატრიალა. ჩვენ კი ისეთი იმტაზე მოგვიყვ:ნა, რომ აღარაფერი გვეხოგებოდა. სუფრა ჯერ კიდევ ცარიელი იყო. ჩვენ კი გვეჩვენებოდა, რომ დაყრილ ხორაგისაგან იხნიქებოდა და საცაა ჩაიმტვრეოდა. მეგობარი მეუბნება: შეხედე კედლებზე რა სურათებიაო.. შევხედე და თვალი მომჭრა. მთლათ რაც თქვენი წმინდანებია, ერთი მეორეზე ჩაუმწკრივებია. ჩვენი მაგიდის გვერდით კედელზე ათიოდე წმინდანს სუფრა მოლხე გაუშლიათ და ლხინი აქვთ, თამადას თავის გვერდით მეგარმონე იპოლიტე დაუჯნია და გარმონს ხმას აყოლებს. შეხედავ—შეგეხარბება, ისეთი ხოშიანი პურის ჭამა აქვთ... იქით კიდევ სხვა სურათებია. რომელიღაც წმინდანს ოლარი გაუფარფაშებია და არღანზე ცეკვავს. ორი კიდევ წაჩხუბებულა, თავზე წ:დგმული ნათელი რომა აქვთ, ის მოუხდიათ და იმას ურტყამენ ერთმანეთს.. მთელი კედლ:ს სიგრძეზე კიდევ გაკრულია პლაკატი: „რელიგია ხალხის ოპიუმია“.. დახლის პირდაპირ კედელზე კი აბესალომს თავისი გადიდებული სურათი დაუკიდია: ოლარში შემოსილს ღვ:ნით სავსე ყანწი უჭირავს, იღლიაში კი რუმბი შეუჩრავს.. ისე კარგად დ:უხატავთ, გეგონება ცოცხალი სდგას შენს წინაშე. სურათის ქვეშ კიდევ მისი გამოთქმული ლექსია:

„თქვენთან ერთად გაუმარჯოს
„ნახუცარა აბესალომს“.

—ექვსი კვარტი იქით! წიწმატი და ტალხუნა აქეთ! მიართვით ჯიგარი! ჩქარა!

ის რომ გენერალი ყოფილიყო, მტერი რომელი დაუდგებოდა. ორის მაგიერ თითქოს ათი თვალი მოხმია. ქორივით დაჰყურებდა მუშტ:რით გაჭედილ სარდაფს. ასი კაცი უძახდა და ასივეს პასუხს არ უყოვნებდა. ყველას მისი მიპატიჟება ახალისებდა და უარს არავის ეუბნებოდა. შავი და თეთრი ღვინო—მისთვის ერთი იყო. ყველას ერთნ:ირად უშვებდა ყრონტში. გეშინოდა, უცაბედათ ჰიქაც არ ჩაჰყოლოდა.—„აბესალომს გაუმარჯოს“! უძახდენ რომელიღაც შორეულ კუთხიდან. „ჩემი თავი გენაცვალოს!—იმავე წუთში გადასძახებდა დახლიდან და თან ისე გაიღიმებდა, როგორც მზე ნაწვიმარზე. ამის შემდეგ მსმელებს წყურვილი ემატებოდათ და თავი არ ეხოგებოდათ. ზოგიერთი ცინდალა მუშტარი, როცა ღვინისგან მოსაზრება დაეკარგებოდა, ყაილის გუნებაზე დგებოდა. აბესალომს დახლის წინ დაუდგებოდა და თუ უშვერის სიტყვებით, თუ ჰიქის დამტვრევით ვითომ სკანდალს უმართავდა. ნახუცარა ჯერ წაუყრუებდა, ყურადღებას არ აქცევდა. მერმე, თუ ძალიან საქმეს გაუჭირვებდა, გაწყრომის მაგიერ დათვის თათივით ხელს ლოყაზე მოუთათუნებდა და თუ ვერც ამის შემდეგ მოიშორებდა, დაკაპიწებულ ბანჯგვლიან მკლავებს დახლზე დაალაგებდა, ლომის ტორივით შეკრულ მუშტებს დაებჯინებოდა და ერთი წუთით შეხედავდა ჰირვეულს. სხვა რამ საჭირო აღარ იყო. აბეზარა ჯადო ნაკრავივით შორდებოდა... ვინ იცის რამდენი კაცი მთხვევია ამ ხელებს! — და განა მარტო სარდაფი არჩენს აბესალომს?! როცა თითონ ჯდება პურის საჭმელად, ერთ კაცს იჯრაზე იმდენი არა ჰყოფნის, რამდენსაც მთელი სტუმრები ივახშმებენ... ნახუცარას საკომისიო საქმეებიც ჰქონია.! მთელი ფაბრიკა აქვს გამართული, სოფლებიდან რკინას ეზიდება და ყავას ფქავს, აფთიაქებისთვის ახუსალათინს აგროვებს, მანდარინებს ადგილობრივ სყიდულობს და შემდეგ რუსეთში გზავნის... რომელი ერთი ჩამოვთვალო! შინაურ საპნისათვის გაცრილ ნაცარსაც კი ამზადებს.! ას კაცამდე აგენტი ჰყავს თითონ, როგორც დედა-ფუტკარი სკაში, ზის სარდაფში და აქედან განკარგულებებს იძლევა. ამბობენ, ყველას დაეხმარება და განსაკუთრებით თუ რომელიმე ნახუცარა მის ბადეში მოხვდა, პირში სულს უდგამს. ოღონდ ასეთი ჩვეულება ჰქონია: ნახუცარა, თუ ვინმე მასთან მივიდა, ჯერ მამაპაპურად გაუმასპინძლდება, მერმედ თავის სარდაფის ხატებს ამოხვევიებს და ამის შემდეგ თავის მრევლში ჩ შვებს... მუშაობ სადმე?

— არა..

— მაშ აბესალომთან მიდი.. გზაზე დაგაყენებს!

გიორგიმ უკმაყოფილოთ ახედა დალაქს.

— აბესალომთან მივიდე?! ეგეთი რჩევა არც უნდა მკადრო ახალგაზრდა კაცმა!

— შენი ნებაა.. მე საწყენად არ მითქვამს.. კეთილი გულით გითხარი.. ულვაშები შევასწორო?

ულვაშებს მაკრატელი არ შეხებია.. თითქო ახალ სახეს ხედავდა გიორგი სარკეში. ცხვირმაც სხვაგვარი ტანადობა მიიღო. გაყოფილი ბრტყელი ნიკაპი. აუ, რა ხანია თვალს ამ სახის სიტიტვლე არ უნახავს!

კიდევ უფრო დამძიმებული ნაბიჯით გამოვიდა გიორგი სადალაქოდან. არავის არაფერი ცსაქმებოდა ახლად წვერგაპარსულ მოქალაქესთან. ყველამ გულგრილად ჩაუარა.. მაგრამ გიორგიმ მაინც პირველსავე შესახვევში მისცა თავი და მყუდრო ქუჩებით წავიდა.. ნახუცრების შეხვედრას ერიდებოდა.. ასე ეგონა—ძველი თავი აღარ ება.. მზე იყო, მაგრამ ლოყებს მაინც სციოდა.. თვალწინ ტრიალებდა დალაქი სამართებლით ხელში.. აბესალომს ბოხი ხმა კვალდაკვალ მისდევდა.

კარგა მოზრდილი მანძილი ჰქონდა გავლილი, როცა უეცრად პირი იბრუნა და ისევ იმ ქუჩებით საპარიკმახეროში დაბრუნდა.

—ძმია,—კუთხეში გაიხმო გიორგიმ დალაქი და ჩუმად კითხა—რომელ ქუჩაზეა აბესალომის სარდაფი?

გაზეთის ნახევზე მისამართი ჩაიწერა და სწრაფად გამოვიდა.



მოძრავი სამზარეულო სადილებს აწვდის შირაქის ველზე მომუშავე მთიბავებს.



მოტო-გადარბენა. ამას წინად მოეწყო აგიტ მოტო-გადარბ[illegible]ლისი-ბათომი-თბილისი. სურათზე: ბათუმში მისვლისას სინჯავენ [illegible]კლეტს.



სოფ. საგარეჯოს (თბ. რაიონი) კოლექტივის წევრები სადგურ წნორის-წყლიდან მიემგზავრებიან ალაზნის ბამბის საბჭოთა მეურნეობაში სამუშაოდ.



ზემოქედის კომუნის საბავშო კერა.

# ფოტო-ქრონიკა



ამ დღეებში მოსკოვში მოფრინდა ფრანგი მფრინავი ქალი **მარის ბოსტიე.**
**სურათზე:** ბოსტიე მოსკოვის ცენტრ. ჰაეროდრომზე.



საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის მიერ შეგროვილ თანხებით აგებული იქნა 11 ახალი ჰაეროპლანი. 15 აგვისტოს მოსკოვის ცენტრალურ ჰაეროდრომზე მოხდა ჰაეროპლანების საზეიმო გადაცემა. **სურათზე:** სამხედრო-საჰაერო ძალების უფროსი ამხ. ალექსისი ესალმება ზეიმის მონაწილეებს.



ყინულის მჭრელი „მალიგან"-ი იტვირთება ნახშირით პოლიარული რეისის წინ.



ამას წინად მოსკოვში ახლო გაიხსნა ავიო-მშენებელთა საკავშირო შეკრება
**სურათზე:** ავიო-მოდელების გაფრენა.



**მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობა „შირაქი".** ავტომობილი—დუქანი, რომლის საშუალებით მუშებს სამუშაო უბანში ადგილობრივ აწვდიან პროდუქტებს.



ზემო-მაჩხაანი. კოლმეურნე ბავში თვალს ადევნებს თამბაქოს ფოთლების გახმობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი. მოსაშვილი

# ახალი სოფელი

## ღამე სამგორზე

შუაღამე გადასულია. გაავებული ქარიიშხალი მძლავრი ტალღებით ეხეთქება დაგვიანებულ მატარებელს, რომელიც ნელი ზლაზვნით ძლივს მისცურავს სამგორის აღმართებში. ბორბლების გამბულ ხრიალს მრისხანე ქუხილი ჰფარავს და ხშირი ელვა ანათებს დაძინებულ მინდვრებს. უეცარ სინათლეზე ჩნდებიან და ქრებიან მომკილი ყანების გაფანტული ანეულები და მინდვრად აქა იქ დარჩენილ მომკალთა ნაბდიანი სილეუტები.

— ჰაი დედასა, რა მოსავალი გვექნებოდა ი ტიალ სეტყვას რომ არ წავეხდინეთ?! —მებნება მკერდზე მუშტმომარჯვებული შუახნის გლეხი, რომელიც ჩემთან ერთად ფანჯრიდან გასცქერის ქარიშხალიან ველებს.

— ე წვიმებიც არ გვაცლიან ყანის მკასა და მომკილის დროით აღებას, განაგრძნობს ისევ და ცდილობს ლაპარაკში ჩემს ჩაყოლებას. მეც ხალისით ვაკმაყოფილებ მის სურვილს.

— სადაური ხარ ამხანაგო?

— ლილოელი.

— მერე აქეთ საით გამგზავრებულხარ?

— კაკაბეთისკენ მ ივდივარ სამუშაოდ ჩვენი ნათესები დასეტყვა, საგარეჯოსაკენაც წაახდინა მოსავალი, აქეთ კი კარგ მოსავალს ამბობენ.

ჩემს მოსაუბრეს მხოლოდ ეხლა მივაქციე ყურადღება. მას ტყავის წინსაფარი აქვს გაკეთებული. იქვე კუთხეში რამდენიმე პირახვეული ნამგალი აყუდია. მახლობელ საჯდომზე კი მისი დანარჩენ ამხანაგები სთვლემენ.

როგორც ჩემი თანამგზავრის საუბრიდან სჩანს, ამ მიდამოში მ ართლა მაგრა დაუსეტყვია ჭირნახული. ზ ოგიერთ გლეხს ერთიანად ხელი აუღია თავის ნათესზე, ზოგი კი თესლს ძლივს აინაზღაურებს.

— მაშ თქვენებური არტელიც ძალიან დაზარალდებოდა! —ვეკითხები, თან მინდა გავიგო რა აზრისაა ის კოლმეურნეობაზე.

—არტელიც დაზარალდა, მაგრამ იმას რა უჭირს, მთელი ნათესები დაზღვეული ჰქონდა, ჩვენ კი არ დაუჯერეთ არავის და ასე ხელცარიელი დავრჩით.

ჩემი თანამოსაუბრე თავის თავის უკმაყოფილოა. ბრაზობს, მკერდზე მუშტებს იცემს. ამ ორი წლის წინად არტელის წევრი ყოფილა, შემდეგ ვიღაც ქალაქელ „მეგობარს“ შეუცდენია და კოლექტივი მიუტოვებია.

— ეხლა ბეურსა ვნანობ, მაგრამ რაღა იქნება! სირცხვილით ველარც უკან დავბრუნებულვარ, ჩემი ყოფილი ამხანაგებისა მერიდება.—ჩივის გულდაწყვეტილი.

თუ არა ის—ვიღაც „კეთილის მრჩევლეი“, ჩემი თანამგზავრი დღესაც ხომ კოლექტივში იქნებოდა და სხვა სოფლის გზაზე არ იქნებოდა სამუშაოს საძებნად გუდანაბად აკიდებული!

მძინვარე ქარიშხალი მატარებელის აყირავებას ლამობს, კოკისპირული წვიმა თითქოს ცეცხლმოდებულ ღრუბლების ჩანელებას ცდილობდეს, ცივი ხრიალით ეშვება ჩაბნელებულ სივრცეში. გალიპულ ლიანდაგზე ორთქმავალი ძლივს მისცურავს და ბოლოს სულ ჩერდება.

აქ არც ბაქანი, არც სადგური, არც სოფელია.

რკინის დევკაცის ღონე ველარ უძლებს მოვარდნილ გრიგალს, ამაოდ კივის და გაწყვეტილი ხმა შორს ივრის სანაპიროზე იკარგება...

შავი ფარდა უეცრად ცეცხლის გრძელმა სვეტმა გახია და მოხეთქილ ლოდის გრგვინვით დაეცა შორიახლო ბუჩქნარში.

მინდორზე ძნების მაღალი ზვინები განათდა.

— კიდევ კარგი, ძნებს ასცდა თორემ ერთიანად გადაბუგავდა,—წაილაპარაკა ჩემმა თანამგზავრმა.

ჩვენს მეზობლად, შეშინებულმა უცნობმა დედაბერმა ზედიზედ პირჯვარი გადიწერა.

— ღმერთმა გაცხონოს,—ჩაბნელებულ კუთხიდან ვიღაცამ გამოსძახა და ასანთის შუქზე თეთრმა კბილებმა გაანათეს.

## ყანების ზღვაში.

რბილთვლება ეტლი სწრაფად მიგვასრიალებს ცივგომბორის გაშლილ კალთებზე, რომლის ირგვლივ ტრიალი მინდორია გაფენილი. შარა გზის ორივე მხარეს ყანების მაღალი კედლები ამართულა, რომელსაც აქა იქ აყვავებული მზესუმზირა სცვლის.

მთელ ამ მხარეში მიწის ერთი ნაგლეჯიც კი არ დარჩენილა დაუთესავი; ბექობი, ფერდო, მინდვრიანი —ერთიანად გადახნულია, ყოველი კუნჭული გამარჯვებული შრომის ბარათ არის გაჭედილი.

სამკალად ყელგადაგდებული დამძიმებული თავთავები ძმებივით მიჰყუდებიან ერთი-მეორეს და აბრეშუმივით ნელი შრიალით ირხევიან.

ზოგიერთგან ყანა მიწაზეა გართხმული.—ეს გავლილი ქარიშხლის ნაკვალევია. გახელებულ ლომების ნაომარს გავს ეს ხელისგულივით გაშლილი ველი.

ვასილი,—ჩვენი კელმეჩურელი მეეტლე ბეჯითად მიაქროლებს ცხენებს, თან უცნაურად შუბლშეკრული გასცქერის ყანების თვალუწვდენელ ზღვას.

—აი ამ ფერდობზე მთლად მაღაროს არტელის ყანებია, ყამირები მოხნეს, მაინც რიგიანი მოსავალი ვერა აქვთ.— გვეუბნება ის, თან ეტყობა რაღაცას თქმა უნდა, თავს იკავებს.

—რატომ! ასეთი ყანა აქ იშვიათი ამბავია, გახედე ერთი სარეველაც არსად ურევია!

—მართალია, მაგრამ... აი კერძო გლეხების ყანები სჯობია... დესეტინაზე ასი ფუთი დადგება!—თავისას განაგრძობს.

— ვასილ, მერე შენ რითი ხსნი ამას?

— რითი და...

ყოყმანობს, ენას აწვალებს... რაღაცა ღვარძლი აწუხებს...

როგორც შემდეგი ლაპარაკიდან ირკვევა, ჩვენ მეეტლეს კოლექტიური შრომა ჭკვაში არ მოსდის და მას „ყველა უბედურების“ მიზეზად სთვლის. მაღაროელ არტელის ნაშრომსაც ამიტომ იწუნებს. თორემ ამ ყანებს აბა რა აქვს დასაწუნარი! არც ერთი შვრია, არც ერთი გარეული ბალახი. თითქოს ხელით დაურჩევიათ ეს ორმტკავლიანი თავთავები, რომელნიც მტრის თვალს არ დაენახვება.

— ვასილ, სწორედ სთქვი, ხომ მართლა საუცხოვო ყანაა! ჰექტარზე 100 ფუთი დადგება თუ არა?—ვეკითხები ჩვენს მეეტლეს, რომელიც ცოტა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა.

— შორიდან თვალმა მომატყუა, მართლა საუცხოვო ყანა ყოფილა, 100 ფუთზე მეტი გამოსავალი ექნება!—მიპასუხებს და ჯავრს ცხენებზე იყრის, რომელთაც ღონივრად უტყლაშუნებს მათრახს

ბოლოს ვასილი აღარაფერს მალავს:

— დღე და ღამ შრომას ვაკლავთ თავს, ცოტაოდენი შევიძინე და კულაკად გამომაცხადეს, მარტო წარშან—სამასი თუმანი გადამახდევინეს. ამბობს, თან ისევ კოლექტივს ემდურება.

ან აქ საკვირველი რა არის! ვასილი გამონაკლისი ვერ იქნება, რომელი ბობოლა იტყვის კოლექტივზე სასიკეთოს.

— მე და ჩემმა ღმერთმა, თავი დამანებონ, მე თვითონ ჩავეწერები კოლექტივში, სხვებზე ნაკლებს არ ვიმუშავებ მეუბნება დაჯერებით...

მერე და განა სტყუის ვასილი! არა, ის ნამდვილად ამბობს ამას.

საშუალება, რომ მისცენ, ხვალვე შევა კოლექტივში, მაგრამ შევა როგორც მტერი მტრის ბანაკში, რომ ციხე შიგნიდან ააფეთქოს.

კოლმეურნეობის საერთოდ შეძლებული სოფელია. აქ მეფის დროს ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსახლებული რუსები სხლომრობდნენ, რომელთაგან ზოგიერთებს დიდძალი მინდვრები და სახნავ სათესი ჰქონდათ.

საბჭოთა ხელისუფლებამ მათ ჩამოართვა ეს მიწა, დანარჩენ გლეხებთან გაათანასწორა, რამაც მათში უკმაყოფილება გამოიწვია. ძველმა მამასახლისებმა და ჩაფრებმა „ეროვნულ ჩაგვრაზე“ დაიწყეს ლაპარაკი. მათში ყველაზე უფრო გავლენიანმა და გაიძვერა ბობოლა არეშინმა საკამშირო ცაკის შეცდომაში შეყვანაც კი სცადა, მაგრამ ხელისუფლების ორგანოებმა „კაცთმოყვარე“ ველიკოდერჟავნიკს მალე გაუსინჯეს კბილები და ღირსეული პასუხით გამოისტუმრეს.

ჩვენი ვასილიც ერთი ამ „ჩაგრულთაგანია“ ის ეროვნულ უმცირესობათა „დამცველის“ როლს ჩემულობს, მაგრამ როდესაც სიტყვა მისივე„ ძმებს„-რუს “კოლმეურნეებს ეხება, მაშინვე ამჟღავნებს თავის კლასიურ სახეს.

—არც ერთი საქმიანი კაცი, არც ერთი რიგიანი მეთაური,—და ვერც მოუძღვებიან საქმეს... დარიბებიც სწორედ იმიტომ იყვნენ, რომ არაფერის უნარი არ ჰქონდათ, შხამიანად იკბინება ვასილი.

უცხო მგზავრმა შეიძლება დაუჯეროს კიდეც, მაგრამ ტყუილს რომ მოკლე ფეხები აქვს?!

კოლმეურნეობის რუსული არტელი მთელ ამ რაიონში ერთ უძლიერეს კოლექტივად ითვლება, რომელიც დღითი-დღე იზრდება და ძლიერდება.

ვისაც არ სჯერა, მოვიდეს და ნახოს! აგერ ჩვენს პირდაპირ ტაფობში ტრაქტორი მიგუგუნებს, სჩანს რამოდენიმე სამკალი მანქანა და ძნით დაზვეპილ ოთხთვალა ურმების გრძელი ქარავანი.



სას.-სამ. იარაღ-მანქანების შემკეთებელი სახელოსნო წნორის-წყალზე.

ეს სწორედ ამ კოლექტივის ყანებია, ჩალის ქუდა კოლმეურნეები მწყობრად შეჰსევიან ოქროს დაულეველ მდინარეს და თავთავების მორევებში სცურავენ. ცალ-ცალკე იბრძვიან მემანქანეთა, მომკალთა და მეურმეთა რაზმები.

ქარიშხალ გადავლილ ცაზე მზის ცეცხლის კალო დაუნთია და ცხუნარე ნაღვერდლებს ესვრის აორთქლილ დედამიწას.

— ვასილი! ეს კედელივით ამართული ყანები, ეს ძნით დატვირთული ურმების ქარავანი,— ზარმაცი და უშნო ხელის ნაყოფი ხომ არ შეიძლება იყოს!

— ეს? რა ვიცი! ეს მხოლოდ მთავრობის დახმარების, მხოლოდ ამდენი მანქანების, აგრონომების და რა ვიცი კიდევ რამდენი რამეს ნაყოფია! — კიდევ მაინც შხამს აწვეთებს.

ყანის ეს თვალუწვდენელი ზღვა, სწორედ ამდენი მანქანების, ტრაქტორების, გუთნების და კოლმეურნეების შეერთებული ძალის ნაყოფია!

წვრილი დაქუცმაცებული გლეხური მეურნეობა, ძველებური მამაპაპური ღირღიტა გუთნით და კავ-სახნისით ვერ შესძლებდა ამ საუკუნეებით დატკეპნილ და გაქვავებულ ყამირების გადაბრუნებას. მხოლოდ ადამიანთა შეერთებულ შრომას შეეძლო ამ დაგვალულ ველების დამარცხება, ამ მინდვრების ავსება ამდენი დოვლათით და ჭირნახულით.

ჩვენმა მეეტლემ ეს ჩინებულად იცის. ის ყოველდღიურად ხედავს თავის მეზობელ კოლექტივის გმირულ ბრძოლას სოციალისტური სოფლის მოწინავე პოზიციებზე: ხედავს მის მიღწევებს და გამარჯვებებს, მის შეუჩერებელ ზრდასა და წინსვლას, მაგრამ განგებ თვალს იბრმავებს. ხედავს და არას ამბობს, ამბობს და შხამსა და გესლს აყოლებს.

ასეა ხომ ვასილი?

სწორედ ამიტომ შენი ალარავის სჯერა. არა სჯერა, რადგან შენ, სასიკვდილოდ დაჭრილს, საბოლოოდ განწირულს მხოლოდ შურისძიებისა და სისხლის აღების ღრმა სურვილი გალაპარაკებს!..

ნუკრიანის კალოების გრძელ აღმართს შევუდექით.

ჩვენს წინ გომბორის მთის მაღალი ქედი სჩანდა, მთებს მაღლა მზის ანთებული ბურთი, ზურგიდან კი ტრაქტორები და სამკალ მანქანების გაბმული გუგუნი გვაცილებდა...

### მოხუცი გლეხები და „სასუნებელი წვეთები“

უკვე მაღაროს მთაზე ვართ. ცოტაც და—შუა სოფელში ვიქნებით. ჩვენ წინ გაიშლება ალაზნის დიდი ველი კავკასიონის მთაგრეხილის გაულბობელ ყინულებით.

ვასილი ცხენებს დიდი ხის ჩრდილში ასვენებს და ჩვენც ეტლიდან ჩამოვდივართ.

იქვე შარაგზის პირას ჩამომჯდარან მოხუცი გლეხები. თალხებში გახვეული მოხუცი ქალი ვილაცაზე ჯავრობს:

— ეს რაღა მასხარაობაა! ერთ წყვილ წინდაში — უყურეთ რეები მომაჩეჩეს?!

—რა იყო დედი, ვის გაუჯავრებიხარ? —დაუკითხავად ვერევი ლაპარაკში.

—რაა შვილო და კოოპერატიაში აი ეს ჩულქები ვიყიდე და ზედ ორი შუშა რაღაც სასუნებელი კაპლი მამცეს! —თან ჯიბისკენ წაიღო ხელი.

—აბა ნახე გენაცვალე შვილო, მუცლის ტკივილის დასაამებლად არ გამოდგება? —და ორი პატარა ფლაკონი „ტეჟეს“ ოდეკალონი გამომიწოდა.

Одекалон „Белая ночь“—გამეცინა.

საცოდავმა ქალმა აბა რა იცის ოდეკალონის? მას ეს წამალი ჰგონია, მუცლის ტკივილის დამაამებელი წვეთები...

— არა დედი, ამის დალევა არ შეიძლება!

— მაშ რაშია გამოსადეგი შვილო!

— დედაკაცო, ვერ გაიგე ი ვილაცა გოგომ რომ სთქვა სასუნებელიაო?!— ჩაერია ჩიბუხიანი მოხუცა.

— ეს დედი ისეთი რამ არის... ისეთი სითხე არის, რომელსაც სასიამოვნო სურნელება აქვს... რომელსაც ზედ იწვეთებენ... — ვცდილობ აუხსნა როგორმე, გავაგებინო მისი დანიშნულება. მაგრამ როგორც ეტყობა ამაოდ.

ახალგაზრდები რომ იყვნენ, თუ არ ეცოდინებოდათ, გაგონილი მაინც ექნებოდათ; ამ მოხუცებს კი, შუა ზაფხულში რომ ცხვრის ტყავის სქელი ჯუბებით დაიარებიან, — როგორ გავაგებინო ოდეკალონის დანიშნულება!

უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი უკან გამობრუნებას ვაპირებ და ახლა მესამე მიშვერს რაღაც ქაღალდის პარკს.

— მე კიდე ე რაღაცა კარტოფილის ფქვილი მომცეს ნაგრუზკაში, ეს ხომ მაინც გამოდგება რამეში!

— ეგ არაუშავსრა, ბალღებს თათარას გაუკეთებთ! ვეუბნები.



წყალდიდობისას მდ. ალაზანმა არხი გაარღვია.— წყალი გადადის ბამბის პლანტაციებში.

კიდევ კარგი ვასილი ლაპარაკის გაგრძელებას აღარ მაცლის. ეტლის ეჟანვენების წკრიალი უკან სტოვებს ჩემს თანამოსაუბრეებს, რომელთაც ისე დავშორდი, რომ მაინც ვერ გავაგებინე რაშია გამოსადეგი ის რაღაცა „სასუნებელი კაპილი“, ან კარტოფილის ცქვილი. . .

საოცარია როგორი სისწრაფით იცვლება ჩვენი სოფელი, მისი მყუდროება და ყოფაცხოვრება!

ათასფუთიანი ნალმები აყირავებენ უზარმაზარ მთებს და ძველი ბუდეებიდან ამოვარდნილი მდინარეები ახალ არხებში მიდიან, მიმართულებას იცვლიან. ჩვენმა სამომხმარებლო კოოპერაციამ კი დღემდე ვერ მოახერხა თავისი მუშაობის გარდამქმნა.

ნუ თუ ძნელი მოსახერხებელია, სოფლის კოოპერატივების თაროები სხვა და სხვა პარფიუმერიით არ იყოს გამოჭედილი და პირველმოთხოვნილების საგნების ყიდვის დროს ღარიბ გლეხს ან კოლმეურნეს დუხსა და ოდეკალონს ძალათ არ აჩეჩებდენ ხელში?!

თბილისში კარტოფილის ფქვილის მისაღებად რიგში დგომაა საჭირო, აქ კი მას განუკითხავად არიგებენ და გლეხმა არ იცის თუ როგორ და რაში შეიძლება მისი გამოყენება!

ცოტა არ იყოს მოწყენილი ვასილი ასეთმა ამბავმა უკეთეს გუნებაზე დააყენა, ულვაშებში იცინის და ცოცხივით გაშლილ წვერზე ხელს ისვამს:

— ჰა, აქაც კულაკია დამნაშავე? ესეც თქვენი კოპერაცია! — მწვეტიანი ირონიით იჩხვლიტება.

მე ვითომ არ მესმის მისი ლაპარაკი, ყურს ვიყრუებ.

მე, რომ ეხლა ასეთ უხერხულ მდგომარეობაში ვარ, ეს ჩვენი კოოპერატორების ბრალია.

ნუ თუ ისინი ვერ მიხვდებიან: — რატომ იცინის ვასილი, რათ უხარიან მას როცა ღარიბი გლეხების უკმაყოფილო ხმა ესმის!

ეტლი უკვე თავქვეზე დაეშვა. მთის ზურგზე გამოჩნდა მწვანე ფოთლებში დამალული სოფელი.

ჩვენი ყურადღება მიიქცია გზის მარჯვენა მხარეს ამართულმა საქონლის ფართო სადგომებმა და თივისა და ძნების უზარმაზარმა ზულულებმა.

— ეს აქაური არტელის — „ლენინის ანდერძი“-ს კალო და საქონლის ბინებია, — გვითხრა ერთმა ჩვენმა თანამგზავრთაგანმა.

ბინის წინ კოლმეურნე ბიჭების ყიჟინა იდგა: თივით დატვირთულ ურმებს სცლიდნენ და მთებივით ზვინებს სდგამდნენ. . . იქვე მახლობლად ამავე არტელის მოტორიანი წისქვილი გუგუნებდა.

ცოტაც და ძირს უფსკრულებზე გამოჩნდა სიღნაღი და ძველი ციხის დაკბილული ნანგრევები. შორს, დაბლა ალაზნის ველის მწვანე მერდინი გაიშალა.

# გავავრცელოთ ტექნიკური კულტურები



ამხ. სტალინის სახელობის კოლექტივის (სოფ. ზემო-მაჩხაანი, სიღ. რაიონი) ბამბის პლანტაცია.



ამხ. სტალინის სახელობის კოლექტივმა (ზემო-მაჩხაანი) წელს თამბაქო დათესა 100 ჰექტარზე.
**სურათზე: ახალგაზრდა კოლმეურნეთა ბრიგადა თამბაქოს ფოთლებს აცლის.**



ბამბის საბჭოთა მეურნეობა „ალაზანი“-ს მუშათა კლუბი. კლუბის წინ—საზაფხულო კარავები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძ. მელაძე

# კრიტიკული შენიშვნები

პროლეტარულმა მწერლობამ ამ ბოლო ხანებში მთელ რიგ ახალ გამარჯვებებს მიაღწია. უკანასკნელ ხანებში პროლეტარულმა მწერლობამ შესძლო უფრო ახლო მისვლა მასებთან.

ჩვენ ეხლა მთელი რიგი მიღწევები გვაქვს, მაგრამ ეს მიღწევები არ ნიშნავს თითქოს ჩვენ ამ ხნის განმავლობაში არ გვქონდეს რაიმე შეცდომა და გადახრა. დღეს ყოველი უბრალო მომენტიც კი კლასიური ბრძოლით ხასიათდება. პროლეტარული მწერლობა კლასთა ბრძოლის გზით ვითარდება. ამ წლის განმავლობაში პროლეტარული მწერლობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა კლასთა ჭიდილში შესძლო პროლეტარული მწერლობის პოზიციების დაცვა, ზოგი კი მოდუნდა და ტკბილ ლირიკის სიმების აჟღარუნებით ირთობდა თავს (მაგ. ბობოხიძე).

უკანასკნელ ხანებში ქართული პროლეტარული მწერლობა გამდიდრდა ისეთი ნაწარმოებით, როგორიცაა **ალიო მაშაშვილის** „დამკვრელი ბრიგადები". „დამკვრელი ბრიგადები" ქართულ პროლეტარულ მწერლობაში მოწოდების ზარათ გადაიქცა. ამხ. მაშაშვილმა აღნიშნულ ლექსით ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ იგი პროლეტარული მწერლობის ღირსეული წევრია, რომ იგი თავის შემოქმედებაში თავისი კლასის იდეების გამტარებელია. ალიო მაშაშვილს კარგად ესმის მწერლის მოვალეობა დღეს, რეკონსტრუქციის პერიოდში და აცხადებს:

„აგრიგალებულ
შრომის დაზგაზე
დამკვრელ სტრიქონებს
ვაწყობთ რკინებად,
რომ სხვა იარაღთ შორის
დამზადდეს
ბოლშევიკური
განწყობილება"

ალ. მაშაშვილის ეს განცხადება უდავოდ თავის კლასის გამარჯვებაში ღრმად დარწმუნებულ პოეტის განცხადებაა. მაგრამ ჩვენში არიან ისეთი „ურწმუნო თომები", რომელთაც ეს არ სწამთ და მაშაშვილს სთვლიან ისეთ მწერლათ, „რომელიც ეპოქას ვერ ეგუება თავისი ანარქიზმით" (მაგ. ასტვაცატუროვი), ვითომ მაშაშვილი „პარტიას და თავის საკუთარ კლასს, ე.ი. პროლეტარიატს დასცინის" (ბენაშვილი) და სხვ. მე ვფიქრობ, რომ არც ერთი ამხანაგი არ არის მართალი.

ჩვენ ბოლშევიკები ვართ და ბოლშევიკურად უნდა ვამხილოთ შეცდომები. არ ვარგა, როდესაც მარქსისტულ კრიტიკაში ჩქმალავენ შეცდომებს. ეს ხელის შეშლაა პროლეტარულ ლიტერატურისათვის ჰეგემონიისათვის ბრძოლაში. ყოვლად შეუძლებელია პროლეტარულ ლიტერატურაში მიჩქმალული იქნას რაიმე ნაკლი.

მარქსისტული კრიტიკა უნდა შეეხოს ყველას პიროვნების განურჩევლად, ასეთი უნდა იყოს სადღეისო ლოზუნგი. მაგრამ ბევრს საკითხი ასე არ ესმის და თვითკრიტიკას ფრაქციულობაზე ახურდავებს. „პოეტის დეკლარაცია"-ს წინასიტყვაობა, რომელსაც ხელს აწერს ამხ. ერ. ასტვაცატუროვი, უფრო ზოგადი ხასიათისაა, ვინემ კონკრეტული წერილი ამხ. ნაროუშვილის შესახებ, მაგრამ „მკვლევარმა" ასტვაცატუროვმა აღნიშნულ წინასიტყვაობაში ყველაფრის ჩატევა შესძლო, როგორიცაა: რეკონსტრუქცია, კლასიური ბრძოლა, პროლეტ. მწერლობის ისტორია, კ. ლორთქიფანიძის, ალ. მაშაშვილის შემოქმედება და სამ თუ ოთხ სტრიქონში მოიგონა ფრ. ნაროუშვილი. რა უნდა ავტორს სთქვას კონკრეტულად წინასიტყვაობაში? ამ კითხვაზე ვერც თვითონ გიპასუხებთ. მხოლოდ ერთი რამ ფაქტად რჩება — უნდა სთქვას ყველაფერი, მაგრამ გამოდის არაფერი. ჯერ წინასიტყვაობას ავტორი იწყებს იქიდან, რომ პროლ. მწერლობა კლასიური მწერლობაა და სხვ. ეს კეთილი და პატიოსანი, ამაში არავინ ედავება ასტვაცატუროვს და არც ახალი ამერიკის აღმოჩენაა ეს. მაგრამ მივყვეთმას გზა და გზა. ერთ ადგილას „მკვლევარი" სწერს: „**სოციალისტური მშენებლობის გაზრდილმა ტემპებმა მთელი რიგი გახმაურებული პროლეტარული მწერლები უკან მოიქცია. მაშაშვილის ინდივიდუალიზმი და ანარქიზმი ვერ შეეგუა დღევანდელობის ძირითად მოთხოვნილებებს. ვაკელი და კალაძე შეცდომათა რკალში მოექცენ, ლორთქიფანიძე პოეზიიდან უმთავრესად ბელეტრისტიკაზე გადავიდა და ფსიქოლოგიური რეალიზმის მეთოდით ახდენდა მოვლენების და პიროვნების გაორებას**". *) აი, მსჯელობა აი, „ალილო" ახლად მოვლენილ „მკვლევარის", რომელიც მარქსიტულად აზროვნების პრეტენზიებს აცხადებს ლიტერატურაში. „მკვლევარ" ასტვაცატუროვის აზრით, მაშაშვილი ეპოქას ვერ ეგუება. სხვა რომ არ იყოს რა, სირცხვილია ასეთი რაიმეს დაწერა. მართალია ქაღალდი ყველაფერს აიტანს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს აღნიშნულ წიგნს, რომელსაც წინასიტყვაობა აქვს გაკეთებული, წაიკითხავს კომკავშირელი მასა. როგორ შეიძლება „მკვლევარო" ასტვაცატუროვო მწერლის ერთი ჟანრიდან მეორე ჟანრზე გადასვლა ეპოქასთან შეუგუებლობით ახსნა. მაშ რას ნიშნავს თქვენი განცხადება ლორთქიფანიძის შესახებ! დაგელოცა „ღმერთო" სამართალი! მართლაც, რომ ბევრის ამტანია ქაღალდი. სადარის მსჯელობის უბრალო ლოღიკა, რად გჭირდებათ ტენდენციურად მსჯელობა ყველაფერზე.

ან რას ნიშნავს ასტვაცატუროვის შემდეგი განცხადება აღნიშნულ წინასიტყვაობაში: „მაშაშვილი ფორმით საზღვრავს შინაარს, ნაროუშვილი კი ფორმას და შინაარსს იღებს მთლიანობაში. მაშაშვილის შემოქმედებაში ჩვენ შეგვიძლია ფორმალისტური სკოლის გავლენის საშიშროებაც დავინახოთ". უცნაური აზრია. საიდან გაიგო ასტვაცატუროვმა, რომ მაშაშვილი ფორმით საზღვრავს შინაარსს. იქნება ასტვაცატუროვისთვის მაშაშვილის „დამკვრელი ბრიგადები", „აი ადამიანი" უცნობია. ვთხოვთ შეიწუხოს თავი, წაიკითხოს და შემდეგ იმსჯელოს — შინაარსი საზღვრავს ფორმას თუ ფორმა შინაარსს. ასეთი დაპირისპირება შინაარსის და ფორმის დღეს უკულტურობის და ჩამორჩენილობის მაჩვენებელია: ჩვენის აზრით პროლეტარული ლიტერატურა სრულიად არ უარყოფს იმას, რომ ყოველი მხატვრული ფაქტი ფორმალურადაც იქნეს გამართლებული. „მკვლევარ" ასტვაცატუროვის აზრით ფრ. ნაროუშვილი შინაარსით საზღვრავს ფორმას და მისი გამარჯვებაც ამაში მიაჩნია. ყოვლად მიუღებელი აზრია. ნაროუშვილის შემოქმედება ფორმის მხრივ ჯერ კიდევ სუსტია, ნუ თუ ამხ. ასტვაცატუროვო აწყენს ნაროუშვილის შემოქმედებას ის ფორმა, რომელიც მაშაშვილს გააჩნია! ნუ თუ ცუდი იქნება ნაროუშვილი, რომ ისე ამუშავებდეს მხატვრულად ლექსებს, როგორც მაშაშვილი! მე ვფიქრობ პირიქით, მაგრამ მათთვის, რომლებსაც ჯერ კიდევ არ ჩამოუხსნიათ მთლიანად ფრაქციული ბრძოლის პირბადე, ეს შეუმჩნეველია. ასეთი განწყობილების წინააღმდეგ ბრძოლა კი ჩვენი მორიგი ამოცანაა.

მეტად პრიმიტიულ მოსაზრებას გამოსთქვამს ავტორი გლეხურ მწერლობის შესახებ. მე ვფიქრობ, რომ ჯერ უნდა ხდებოდეს თემის შესწავლა და შემდეგ მასზე მოსაზრების გამოთქმა. დასასრულ, ჩვენ აღნიშნულ წინასიტყვაობის შესახებ

*) „პოლიტიკური პოეტის დეკლარაცია", წინასიტყვაობა გვ. 13.

შეგვიძლია ვსთქვათ, რომ იგი არაა ბოლშევიკური წინასიტყვაობა, არამედ ლიბერალურ აზრთა კრებულია. ამხ. ასტვაცატუროვმა არაფერი სთქვა წინასიტყვაობაში ამხ. ნაროუშვილის შეცდომებზე. გამოდის, რომ მის შემოქმედებაში ყველაფერი თავის რიგზეა.

მე ვფიქრობ უხეშ პოლიტიკურ შეცდომებს სჩადის ის, ვინც შეცდომებს ჩქმალავს. აქვს თუ არა ამხ. ნაროუშვილს აღნიშნულ წიგნში („პოლიტიკური პოეტის დეკლარაცია“) რაიმე შეცდომა და თუ აქვს რა სახის.

ჩვენ სრულიადაც არ გვინდა ვიყოთ ტენდენციური. ჩვენ ყოველგვარ ტენდენციობის წინააღმდეგი ვართ ლიტერატურულ კრიტიკაში. ამხ. ნაროუშვილი დღეს უდაოდ ერთერთი ჯანსაღი პროლეტარული პოეტია, რომელმაც შესძლო ნაწილობრივ თანამედროვე თემატიკის დაძლევა. იგი უდაოდ პოლიტიკური პოეტია და მისი შემოქმედებაც უაღრესად კლასიურია. თუგინდ ავიღოთ მისი პოემა „პოლიტიკური პოეტის დეკლარაცია“, სადაც მოცემულია მთელი მისი, პოეტის პოლიტიკური მრწამსი. თუ რუსეთის პროლეტარულ პოეტს ამხ. ბეზიმენსკის ყველა ჯურის გამცემლებმა „პოეტი ჩეკისტი“ უწოდეს იმისთვის, რომ მან ჩეკას ერთ-ერთ ორგანიზატორის ძერჟინსკის სიკვდილთან დაკავშირებით გაბედულად სთქვა:

„Мне В. Ч. К. маяк
Врага,—кричу, руби!
Каждая пуля ВЧК — моя,
Каждую жертву я убил“.

მეორე მხრივ ნაროუშვილი ამბობს:

„ვაშა გ. პ. უ. შენი განაჩენი
ბოლშევიკურად არის დაწერილი
როგორც პოეტმა — პოლიტიკურმა
უნდა შეასრულოს შენი გაკვეთილი:
სოციალიზმის ყველა მავნებელი
დიქტატურის ტყვიით იყოს დახვრეტილი
ვაშა გ. პ. უ. შენი განაჩენი
ბოლშევიკურად არის დაწერილი“.

აქ არაფრის დამატება არ შეიძლება, პოეტი ლაპარაკობს, როგორც ჯანსაღი კლასიური მწერალი. მართლაც გ. პ. უ.-ს ყოველი განაჩენი იგივე ჩვენი განაჩენია, რადგან გ. პ. უ. პროლეტარიატის დიქტატურის ერთგული დარაჯია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამხ. ნაროუშვილს გადახრა არ აქვს. მისი გადახრები ბოლშევიკურად უნდა იქნეს გამომჟღავნებული. იგი „პოლიტიკურ პოეტის დეკლარაცია“-ში სწერს:

„შეტევა მარჯვნით, შეტევა „მარცხნით“
ბრძოლა აშკარა, ბრძოლა ფარული
მგლების ღმუილმა ვერ დაამარცხოს
პარტიის ხაზი გენერალური“.

ერთი შეხედვით გამოდის, რომ ყველაფერი თავის რიგზეა, მაგრამ აქ აშკარა პოლიტიკურ შეცდომასთან გვაქვს საქმე. ნაროუშვილმა ვერ შესძლო კონკრეტულად საკითხის დაყენება იმის შესახებ, თუ რომელი საფრთხეა უფრო საშიში დღეს ჩვენთვის. მან მემარჯვენე—„მემარცხენე“ საფრთხეს შორის თანატოლობის ნიშანი დასვა, რაც პოლიტიკურად შემცდარია. იქნებ ზოგიერთმა გვიკიჟინოს ლექსში ყველაფრის თქმა არ შეიძლებაო—ამის განცხადება სწორი არ იქნება. ჩვენ დღეს პოეზია არ გვესმის, როგორც ვიწრო ესთეტიური კათეგორიების შემცველი. იგი დღეს სოციალური ფუნქციალობისაა. ასე რომ ამხ. ნაროუშვილს უნდა ეთქვა ჩვენთვის, თუ რომელი საფრთხეა მთავარი დღევანდელ მომენტში. იქნებ ჩვენთვის მემარჯვენე „მემარცხენე“ საფრთხე ერთი და იგივეა! ნაროუშვილს თუ დაუჯერებთ, მათ შორის სხვაობა, არაა, მაგრამ „**ჩვენში მთავარი საფრთხე მემარჯვენე საფრთხეა. მემარჯვენე საფრთხე იყო და რჩება ჩვენში მთავარ საფრთხეთ**“ (სტალინი). მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ შევანელოთ ბრძოლა „მემარცხენე“ გადახრების წინააღმდეგ. არა, არ ნიშნავს. ამის დანახვა და გარჩევა ამხ. ნაროუშვილმა ვერ შესძლო.

ამავე წიგნში მოთავსებულია ამხ. ნაროუშვილის პოემა „კორლანი“, რომელშიაც არის გადახრების საკმაო ელემენტები. ჩვენ დღეს დაუნდობელ ბრძოლას ვაწარმოებთ „მემარცხენე“ ავანტიურიზმის წინააღმდეგ. დღეს ჩვენ ვიბრძვით ყოველგვარ ისტერიზმის წინააღმდეგ, დღეს ჩვენ ვიბრძვით კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციისათვის მთლიან კოლექტივიზაციის საფუძველზე. ნაროუშვილის აზრით კი

„სამოქალაქო ცეცხლით გაშლილი
მოვიდა წვიმა აგიტაციის
ყვიროდა ცეკა და ჯულაშვილი
კულაკურ კლასის ლიკვიდაციას“.

რას ქვია ყვიროდა. აქ ნაროუშვილმა ვერ შესძლო დაენახვებინა ჩვენთვის ისტორიული პროცესები, რომლითაც ჩვენ უმზადებთ ნიადაგს კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციას. ნაროუშვილის აზრით, კულაკურ კლასის ლიკვიდაცია გეგმიან შეტევის პოლიტიკით კი არ ხდება, არამედ ყვირილით. გეგმიან შეტევის პოლიტიკით აწარმოებს პარტია კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციას მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე; აქ კი ნაროუშვილი უდაოდ გვევლინება როგორც ისტორიულ ავანტურიზმის და ისტერიზმის ტენდენციების მატარებელი. ასეთი განწყობილების წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენს დღის წესრიგში დგას.

დღევანდელ ეტაპზე ჩვენი ამოცანაა: დაუნდობელი ბრძოლა ყველა იმათ წინააღმდეგ, რომლებიც ჩქმალავენ შეცდომებს, რითაც ხელს უშლიან პროლეტარული ლიტერატურის ბრძოლას ჰეგემონიისათვის. ყოველგვარ მავნე გადახრების წინააღმდეგ ბრძოლით, შეცდომათა სწრაფი ლიკვიდაციით ჩვენ შევსძლებთ საბოლოო გამარჯვების უზრუნველყოფას და ჰეგემონიის მაღლობების დაპყრობას.

## მატჩი: საბჭოთა კავშირი—ოსმალეთი



17 აგვისტოს მოსკოვში „დინამო“-ს სტადიონზე გაიმართა მატჩი საბჭოთა კავშირი—ოსმალეთს შორის. მატჩი ტარდებოდა ინტერნაციონალური წესით. მატჩს დაესწრო 80.000 მეტი მაყურებელი. თამაში დამთავრდა 4:3 მოსკოვის სასარგებლოდ. სურათზე: ცერემონია მატჩის წინ.



სურათზე: ბრძოლა ბურთისათვის.

# უცხოეთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ხ. გრჟეზინსკი მძვინვარებს.** გერმანიის კომპარტიის გავლენის შეუჩერებელი ზრდა მოსვენებას არ აძლევს ბურჟუაზიას და სოციალ-ფაშისტებს. რევოლიოციონური მუშათა ორგანიზაციების დევნასთან ერთად გაძლიერდა რეპრესიები კომუნისტური პრესის წინააღმდეგ. სოც.-პოლიციელების მიერ დახურულია მთელი რიგი კომუნისტური ორგანოები, განსაკუთრებით ძლიერ რეპრესიებს მიმართავენ გერმანიის კომპარტიის ცენტრალურ ორგანოს „როტე ფანე“-ს წინააღმდეგ, რომელიც




სამი უკანასკნელი თვის განმავლობაში რამდენჯერმე აკრძალეს სხვა და სხვა ვადით. ზევითა სურათზე — ბერლინის პოლიციის უფროსის მენშევიკ გრჟეზინსკის ბრძანება „როტე ფანე“-ს მორიგი აკრძალვის შესახებ. ბრძანება გამოქვეყნდა პრესაში წითელი პლებისციტის ჩატარების მეორე დღეს (ამ პლებისციტის დროს კომპარტიამ 10 მილიონამდე ხმა შეაგროვა). მაგრამ სოციალ-პოლიციელების რეპრესიებმა ვერ ჩაჰკლა კომუნისტური პრესა. ერთი კომუნისტური გაზეთის დახურვაზე რევოლიუციონერი მუშები უპასუხებენ ათეული კომუნისტური კედლის გაზეთების გამოშვებით საწარმოებში. ქვედა სურათზე — „ბერლინერ ფოლკსტიმე“-ს მაგიერ გამოშვებული რაიონული კომუნისტური გაზეთები,


Die Rote Fahne

14 Tage verboten!

Beglaubigte Abschrift.

Verbot.

Gründe.

Der Polizeipräsident:
gez. Grzesinski



**ხ. უმუშევრობა შეერთებულ შტატებში.** პრეზიდენტ ჰუვერის ოპტიმისტურ წინასწარმეტყველების მიუხედავად ეკონომიური კრიზისი შეერთებულ შტატებში უფრო და უფრო ძლიერდება. ორი თვის (ივლის-აგვისტოს) განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტმა 387 მილიონ დოლარს მიაღწია. მცირდება მრეწველობის მთელი რიგი დარგების პროდუქცია. იზრდება უმუშევრობა. სურათზე — ამერიკელ უმუშევარ მეტალოროეს ოჯახი ღია ცის ქვეშ.



მაშხალა მთვარეზე. შეერთებულ შტატებში დაამზადეს მოდელი მაშხალიანი მოწყობილობისა მთვარეზე და სხვა პლანეტებზე გასაფრენად.

**იძულებითი შრომა კაპიტალისტურ ციხეებში.** ბურჟუაზიულმა და სოციალ-ფაშისტურმა პრესამ გაფთრებული ანტისაბჭოთა კამპანიისათვის გამოიყენა მორიგი ჭორი, რომ ვითომ საბჭოთა კავშირში პატიმრებს იძულებით ამუშავებენ. უცხოეთის მთელ რიგ წარმომადგენლებს და ჟურნალისტებს საშუალება ჰქონდათ საკუთარი თვალით დარწმუნებულიყვნენ, რომ არავითარ იძულებითი შრომას საბჭოთა კავშირში ადგილი არა აქვს. კაპიტალისტურ ციხეებში კი იძულებითი შრომა ფართოდ არის გავრცელებული. სურათზე—ბორკილებგაყრილი პატიმარი (სიამის ციხეში) სახლის აშენებაზე.



**თავდასხმა „როტე-ფანე“-ს რედაქციაზე.** ბერლინის პოლიცია თავის მენშევიკ-უფროსის გრჟეზინსკის ბრძანებით თავს დაესხა კარლ ლიბკნეხტის სახელობის სახლს, სადაც მოთავსებულია გერმანიის კომპარტიის ცეკა, ბერლინის




კომიტეტი, გერმანიის კომკავშირის ცეკა, გერმანიის კომპარტიის ცენტრ. ორგანო „როტე-ფანე“-ს რედაქცია და სტამბა. სურათზე—პოლიცია კარლ ლიბკნეხტის სახლთან. ავტომობილებით მიაქვთ კომუნისტური ლიტერატურა და სხვადასხვა მასალები.

# ქრონიკა



ბერლინის პოლიციამ ალყა შემოარტყალიბკნეხტის სახლს, სადაც მოთავსებულია გერმანის კომპარტიის ც. კომიტეტი. პოლიციამ გაჩხრიკა აღნიშნული სახლი და დააპატიმრა პარტმუშაკები. სურათზე: პოლიციელები ჩხრეკენ და აპატიმრებენ იმ მუშებსაც, რომელნიც სახლის ახლო გაივლიან ჯიბეში ხელებ ჩაწყობილნი.



ინგლისის ყველაზე დიდი ჰაეროპლანი— ,,ირის‟. გაკეთებულია ლიოონისაგან.



**საბავშო სპორტი.** სურათზე ექვს ნახევარ წლის მოტოციკლეტისტი საფრანგეთში



**ამერიკელი „დემოკრატია“.** ეკონომიურ კრიზისთან დაკავშირებით შეერთებულ შტატებში მწვავდება კლასობრივი ბრძოლები. მთავრობა საშინელის სიმკაცრით ახშობს რევოლიუციონურ გამოსვლებს, დემონსტრანტებს მხრჩოლავი გაზებით ფანტავენ. **მარცხნივ** სურათზე—პოლიციელებს მიჰყავთ დემონსტრაციის დროს დაპატიმრებული მუშა-ქალი. **მარჯვნივ**— ამხანაგებს მიჰყავთ პოლიციის მიერ მოკლული დემონსტრანტი.





ცნობილმა ამერიკელმა მფრინავმა ლინდბერგმა თავისი ცოლით ამერიკიდან გადაფრინდა კამჩატკაში. **სურათზე:** ლინდბერგის ჰაეროპლანი ნიუ-იორკის თავზე.



ბულგარეთის ქალაქ იამბოლში ფეიქრები 2 თვეა გაფიცულნი არიან. გლეხებმა გადასწყვიტეს დაეხმარონ მათ. **სურათზე:** გლეხები გაფიცულ ფეიქრებს აწვდიან პურს.

სტამბა პოლიგრაფსკოლისა, შეკვეთა № 2536. მთავლიტი № 1765. ტირაჟი 7,000.



მოსკოვიდან 76 კილომეტრის დაშორებით არის ტორფის მდიდარი ბუდობები. **სურათზე;** ჩამოყალიბებულ ტორფის კონვეიერის წესით გატანა მინდორზე გასაშრობად.



დროზე დავამზადოთ საქონლის საკვები. „სოიუზტრანსი“-ს მუშათა ბრიგადა ეხმარება თივის ცელვაში საბჭ. მეურნეობა—„შირაქს“. **სურათზე:** ბრიგადა სამუშაოზე გასვლის წინ.



ტორფის მექანიკური ჩამოყალიბება



**ამხ. სტალინის სახელობის** კოლექტივმა (ზემო მაჩხაანი) წელს თამბაქო გააშენა 100 **ჰექ. სურათზე:** მეთამბაქოების მცოდნე კოლმეურნენი თამბაქოს ფოთლებს მზეზე აშრობენ:



ლენინგრადში დამთავრდა კალმების და სხ. საკანცელარიო ნივთების ფაბრიკის აგება.